

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნინო კიპაროიძე

სამაგისტრო ნაშრომი

დელიქტური ვალდებულების თავისებურებანი

სპეციალობა

სამოქალაქო სამართალი

წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან დუნდუა

სამეცნიერო ხარისხი: კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018 წელი

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია დელიქტური ვალდებულების ძირითადი ასპექტები, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ისტორია, დელიქტური ვალდებულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, დელიქტური ვალდებულების მონაწილე ფიზიკურ პირთა უფლება-მოვალეობები და ასევე ყველა ის საკითხი რაც საზოგადოებისათვის საინტერესოა.

აღნიშნული საკითხი დღეს დღეობით აქტუალურია და ცივილიზებული საზოგადოებისათვის მეტად საჭირო. აქედან გამომდინარე ვეცადე სამაგისტრო ნაშრომში გადმომეცა ის მნიშვნელოვანი დებულებანი, რაც დაკავშირებულია დელიქტური ვალდებულების წარმოშობასთან და მის რეგულირებასთან. ნაშრომში ასევე განვიხილავ დელიქტური ვალდებულების თითოეულ კატეგორიას.

გარდა ამისა შევეცადე ნაშრომში ამომწურავად ჩამომეყალიბებინა ის მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება და აგრეთვე არ შეიძლება წაუყენოს დაზარალებულმა მხარემ იმ პირს ვისგანაც მიაღება მატერიალური თუ მორალური ზიანი. საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით ნაშრომში ასახულია ის ხარვეზები და სტატისტიკური მონაცემები, რაც დაკავშირებულია ხსენებულ საკითხთან. აღნიშნულისათვის გამოვიყენე, როგორც საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, ისე საზღვარგარეთული კანონმდებლობა, კერძოდ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ჰოლანდიის, რუსეთის, საფრანგეთის და გერმანიის კანონმდებლობა. ასევე გამოვიყენე ქართული იურდიული ლიტერატურა და ქართველ მეცნიერთა ნაშრომები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კუთხით არსებობს ნორმატიული აქტები, დამხმარე ლიტერატურა თუ მონოგრაფია პრობლემა კვლავ დევს სამოქალაქო სამართლის მეცნიერთა კვლევაში, ვინაიდან ზემოაღნიშნული საკითხი თავისი

სპეციფიკურობიდან გამომდინარე მუდმივ ცვლილებებთან დახვეწასთანაა დაკავშირებული და შესაბამისად მეცნიერთა დაინტერესება სიღრმისეულ კვლევასთან დაკავშირებით მუდმივარ იარსებებს სრულყოფილების მიღწევამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნიე დელიქტური ვალდებულების ძირითადი ასპექტების გადმოცემა მონოგრაფიაში, რადგან მკითხველმა შეძლოს ამ საკითხის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება, ვინაიდან თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გაუგებრობები და ასევე მინდა გადმოვცე ჩემეული ხედვა ხსენებულ საკითხზე და მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ კანონმდებლობის დახვეწა და საზოგადოების სამართლებრივი განვითარება ხელს შეუწყობს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და პრობლემების მოგვარებას.

ნინო კიპაროიძე

Annotation

The present Master Thesis deals with the main aspects of the delict liability, the origin history of the delict liability, delict commitment as one of the most important part of civil law. The rights and obligations of the physical persons participating in this commitment and all the major issues that are still in public.

The mentioned issue is very actual nowadays and initial for civilized society. Therefore, I have tried to convey the important provisions to the master's thesis, which is linked to the origin of a delict liability and its regulation. In the paper I will also discuss the categories of delict liability. In addition, I have tried to elaborate on the requirements that can and may not also be affected by the victims who have suffered material or moral damage. Based on the Georgian legislation, the report describes the shortcomings and statistical data related to this issue. For this purpose, I used the legislative base of Georgia as well as abroad legislation. In particular, the German Civil Code, the Dutch and Russian Law, I also used Georgian legal literature and works of Georgian scientists.

Although there are statutory acts, dated literature or monographs, the problem still stops in the study of civil law, since the abovementioned issue is related to the constant changes in its specifically and accordingly, the interest of the scientists will be constantly in line with in depth research before you reach perfection.

Based on the above, I considered the main aspects of the delict liability in the monograph, because the reader can get comprehensive information about this issue, because avoiding further misunderstandings. I also want to show my vision about this issue and its related legislation. I hope the improvement of the legislation and the legal development of the society will help to eliminate existing shortcomings and resolve the problems.

Nino Kiparoidze

სარჩევი

შესავალი.....	7
თავი I - დელიქტი, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.....	10
§1- დელიქტის წარმოშობის ისტორია.....	10
§2 - დელიქტის ცნება.....	12
§3 - გამიჯვნა სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისგან.....	17
§4 - დელიქტური სამართლის სუბიექტები.....	20
§5 - განსხვავებები სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის საქართველოს და ჰოლანდიის სამართლის მიხედვით.....	21
თავი II - დელიქტური სამართლის პრობლემატიკა.....	26
§1 - ზოგადი ნაწილი.....	26
§2 - დელიქტური პასუხისმგებლობის ელემენტები.....	26
ა) მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.....	28
ბ) ზიანი.....	32
გ) მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და შედეგს შორის.....	34
დ) მოვალის ბრალი.....	38
თავი III - დელიქტური ვალდებულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.....	42
§1 - ზოგადი მიმოხილვა.....	42
§2 - მორალური ზიანის ანაზღაურების განსხვავებული სისტემები.....	51

§3 - დელიქტუარიაზობა.....	54
ა) მხარდამჭერის მიმღების პასუხისმგებლობის საკითხი სამოქალაქო კოდექსის 995 მუხლის მიხედვით.....	56
ბ) პასუხისმგებლობის გამორიცხვა სამოქალაქო კოდექსის 996 მუხლის მიხედვით.....	57
§4 - დელიქტური ვალდებულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სხვა კატეგორიები.....	58
ა) ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგები (მუხლი 993).....	58
ბ) სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მუხლი 997).....	59
გ) სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის.....	60
დ) სატრანსპორტო ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება.....	61
ე) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (მუხლი 1008).....	64
თავი IV - სასამართლო	
პრაქტიკა.....	66
დასკვნა.....	70
გამოყენებული	
ლიტერატურა.....	73

შესავალი

სამაგისტრო თემის აქტუალობა. სამოქალაქო ბრუნვის სწრაფი და ხარისხიანი განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობათა მონაწილეების ვალდებულებათა ნორმალურ რეალიზაციას. თუმცა არ არის გამორიცხული მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, რასაც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვება და ეს, ძირითადად, გამოიხატება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართალდამრღვევ პირს შეიძლება დაეკისროს არა მარტო „სახელშეკრულებო“ ზიანისათვის, არამედ „არასახელშეკრულებო“ ზიანისათვისაც.¹

დელიქტური სამართალი არის კერძო სამართლის უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ალბათ არ არსებობს ნაციონალური კერძო სამართლის სისტემა სადაც დელიქტი, იგივე უნებართვო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, არ არის წარმოდგენილი კოდიფიცირებული ან პრეცედენტული სამართლის სახით. უნივერსალური პრინციპების მიღმა, რომელთაც ბუნებითი სამართალი და დელიქტური სამართლის როლი და მნიშვნელობა განაპირობებს, თითოეული ქვეყნის დელიქტური სამართალი განსხვავებულია სამართლებრივი პოლიტიკისა და ტექნიკის თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული სხვაობები ასანაზღაურებელ ზიანზე შედეგობრივ გავლენას არ ახდენს. თუმცა გარკვეულწილად ნაციონალური სამართლის თავისებურებები პასუხისმგებლობის ფარგლებზე და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობაზეც აისახება.

დელიქტურ სამართალს ეკისრება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვის, სამოქალაქო ბრუნვაში არსებული რისკების და მათთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამართლიანი გადანაწილების ფუნქცია.

¹ მ. დუნდუა- სტატია დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობაზე. სამართლის ჟურნალი, № 1, 2009 წ. გვ. 52

სახელშეკრულებო სამართალში ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობა ემყარება მხარეთა ნებას, რითაც განისაზღვრება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეთა მიერ მისაღები სარგებლის და მასთან ასოცირებული რისკების განაწილება. სახელშეკრულებო სამართლისაგან განსხვავებით, დელიქტურ სამართალში ვალდებულება წარმოიშობა მხარეთა ნების გარეშე, უფრო ზუსტად, დაზარალებულის და, უმეტეს შემთხვევაში, ზიანის მიმყენებლის ნების საწინააღმდეგოდ. ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისია სამართლით წინასწარ განსაზღვრული ობიექტური გარემოების (ზიანის) დადგომა, რომლითაც არსებული მდგომარეობა იცვლება დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ. ამრიგად დელიქტური სამართლის დაცვის ობიექტი არის *status quo*². ანუ, მან უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე პირის უფლებებისა და ინტერესების სფეროში დაუშვებელი ჩარევისაგან დაცვა³.

დელიქტი, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, არ უნდა განვიხილოთ „წმინდა სამართლებრივ“ კონსტრუქციად, რომელსაც მხოლოდ იურიდიული შედეგები მოჰყვება. დელიქტური სამართლის მიზანი ზიანის მიყენების პრევენცია და საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ბალანსის შენარჩუნებაა. კერძოდ, „დელიქტურ ვალდებულებებს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სოციალური და ეკონომიკური ფუნქციაც გააჩნიათ. სოციალურ ფუნქციაში უპირველეს ყოვლისა, დელიქტური ნორმების პრევენციული მნიშვნელობა მოიაზრება. მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარდუვალობა და კანონისმიერი გარანტიები მიაწოდებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის კუთვნილ სამართლებრივ სიკეთესაც და არ დაუშვან მისი დაზიანება. დელიქტური სამართლის ეკონომიკური ფუნქცია გამოიხატება იმ შედეგებში, რომელსაც დელიქტური ნორმების პრაქტიკული რეალიზაცია იწვევს.

² ლათინურად - არსებული მდგომარეობა.

³ გ. ბათლიძე - სტატია ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში. გვ 15

სამართლის ეკონომიკური ანალიზის მიზანია, დაადგინოს რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს დელიქტური სამართალი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესებს და რამდენად ადეკვატურია ის საშუალებები, რომლითაც კანონი იცავს დაზარალებულს. ცხადია, თუ ანაზღაურების მავალდებულებელი ნორმები არაეფექტურია, ის ვერც პრევენციის ფუნქციას შეასრულებს და ვერც ეკონომიკური შედეგის მიღწევას შეუწყობს ხელს.⁴

კვლევის მიზანი. ნაშრომი მიზნათ ისახავს სსკ-ის 992-ე - 1008-ე მუხლებით გათვალისწინებული, დელიქტურ ვალდებულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების წარმოჩენას, საკანონმდებლო ნორმების სრულყოფის მიზნით, შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების, სამეცნიერო ნაშრომების და სასამართლო პრაქტიკის კვლევას, მიღებული შედეგების გაანალიზებას და არსებული პრობლემების აღმოფხვრის ეფექტური გზების ძიებას.

კვლევის მეთოდები. წინამდებარე კვლევა განხორციელდა შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდით. ნაშრომში კვლევის მიზანი მიღწეულ იქნა შესაბამისი ნორმების, მათ შორის, დელიქტური ვალდებულების შესახებ სსკ-ის 992-ე - 1008-ე მუხლებში მოცემული ნორმების ისტორიული, სისტემური და ლოგიკური განმარტების ხერხებით.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. წინამდებარე ნაშრომი მოიცავს შესავალს, ძირითად ტექსტს და დასკვნას. ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან. კვლევას ერთვის ბიბლიოგრაფია და შედგება 71 გვერდისაგან

⁴ ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე - კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი 2016წ. გვ 384

თავი 1. დელიქტი, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი

§ 1. დელიქტის ისტორიული წარმოშობა.

დელიქტისა და დელიქტური სამართლის წარმოშობა ისტორიულ წარსულში მჭიდროდ იყო დაკავშირებული სისხლის სამართალთან. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა არ ხდებოდა. მაგალითად, ძველი რომაული სამართალი ითვალისწინებდა მიყენებული ზიანისათვის პირის სისხლის სამართლებრივ დასჯასაც და სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც, თუმცა მათ დამოუკიდებლად არ აწესრიგებდა. საჯარო და კერძო სამართლებრივი ურთიერთობების გამიჯვნის სემდეგ, ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტმა კერძო სამართალში (კერძოდ, ვალდებულებით სამართალში) დაიმკვიდრა ადგილი. ჩადენილი დანაშაულისათვის ადეკვატური სასჯელის დანიშვნა კი სისხლის სამართლის სფეროში მოექცა.

რომის სამართლის მიხედვით, ტერმინ „delictum“-ს (დელიქტუმ) ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღნიშნავდა ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელმაც რაიმე ზიანი მიაყენა ცალკეულ პირებს, მათ ოჯახებს ან საკუთრებას, რასაც სასჯელი ან სხვა სახის ნეგატიური შედეგი მოჰყვებოდა.

იუსტინიანეს ინსტიტუციები ერთმანეთისაგან განასხვავებდა ხელშეკრულებიდან და კვაზიხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებსა და სამართალდარღვევიდან (დელიქტიდან) აღმოცენებულ ვალდებულებებს. თუ ის პირველი რიგის ვალდებულებებს ოთხ სახედ ყოფდა, - დელიქტურ ვალდებულებებს ერთ ჯგუფად განიხილავდა, „ვინაიდან ყველას, მათ ერთი რამ აერთიანებთ, რასაც სამართალდარღვევა (დელიქტი) წარმოშობს. მაგალითად, ქურდობა, მარცვა, ნივთისათვის (ქონებისათვის) ან პიროვნებისათვის ზიანის მიყენება. ასეთი ქმედების ჩამდენის, ანუ დელიქტენტის მიმართ გამოყენებული

სანქციებისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზარალის და მისის ბუნების მიხედვით, დელიქტები იყოფოდა დელიქტა პრივატად „delicta private“-დ და დელიქტა პუბლიკად „delicta publica“-დ.

დელიქტა პრივატა, ანუ ზუსტად, კრიმინა (criminal), ისეთი სისხლისსამართლებრივი ქმედება იყო, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა დამრღვევის ფიზიკური დასჯა ან ფულადი ჯარიმა, გადახდილი სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ. როგორც წესი „delicta publica“ ითვლებოდა ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, რომელიც თავისი შედეგით ან საკუთარი ინტენსიურობით წარმოადგენდა სერიოზულ სამართლებრივ საშიშროებას.

დელიქტი ისეთი აკრძალული ქმედება იყო, რომელიც ვალდებულების წარმოსობას იწვევდა. ყოველგვარი დელიქტი გულისხმობდა: ა) მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას (და არა მარტივ წინდაუხედაობას) ბ) delictum - რაიმე ადამიანური სიკეთის ხელყოფას (სხეული, თავისუფლება, ქონება, პატივი და ღირსება).⁵

დელიქტური სამართლის წარმოშობის ათვლის წერტილად მიიჩნევა რომში მანიუს აკვილიუსის კანონის (*lex Aquilia*) მიღება. ეს კანონი ძირითადად ქონების განადგურებისა და სიცოცხლის ხელყოფისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხებს აწესრიგებდა. რომის სამართლის რეცეფციის შედეგად რომაული სამართლის მიერ ორი ათასწლეულის წინ ჩამოყალიბებული პრინციპები ევროპული საერთო კერძო სამართლის შემადგენელ ნაწილად იქცა. შემდგომში კი დიდი კოდიფიკაციების ეპოქაში შექმნილ სამართლებრივ აქტებში აისახა.

თანამედროვე მართლწესრიგის უმრავლესობისათვის სადავო არ არის პირის უფლება, მოითხოვოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზიანისათვის იმისგან დამოუკიდებლად, ექვემდებარება თუ არა ზიანის მიმყენებლის ქმედება

⁵ ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე - სდასუ, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, ლექციების კურსი, თბ. 2016წ, გვ 371

სისხლის სამართლებრივ დასჯას. მეტიც, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს უპირატესად, კერძო ინტერესი ამოძრავებთ. მათ აინტერესებთ შემცირებული შემოსავლის თუ განადგურებული ქონების კომპენსაციის მიღება და არა დანაშაულის კერძო და ზოგადი პრევენცია. ცხადია, დაზარალებულის ასეთი ასეთი პოზიციის გამო სისხლის სამართალი უარს ვერ იტყვის დანაშაულის თავიდან აცილებასა და საჯარო ინტერესის დაცვაზე. შესაბამისად, სამართლის თითოეულ დარგს საკუთარი მოქმედების სფერო, ფუნქციები და დანიშნულება ახასიათებს და ისინი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების სხვადასხვა სეგმენტზე არიან პასუხისმგებელნი.

ამგვარად, დელიქტური სამართალი თანამედროვე (მათ შორის ქართულ) სამართლებრივ სისტემაში ცალსახად მიეკუთვნება კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტთა რიცხვს და არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რაც დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (გამონაკლის შემთხვევაში ბრალის გარეშე) ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან.

§ 2. დელიქტის ცნება

დელიქტის ლეგალურ დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. მართალია, მისი 992-ე მუხლის უნივერსალური ფორმულირება ადგენს პასუხისმგებლობას ნებისმიერი განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუმცა დელიქტის უნიფიცირებული განმარტების ჩამოყალიბება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ძირითადად სირთულეს წარმოადგენს ერთმანეთისაგან სამართლებრივი შინაარსით არსებითად განსხვავებული დელიქტების ერთ ცნებაში „თავმოყრის“ შეუძლებლობა. დელიქტური სამართალი სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით ვითარდება. მისი კომპლექსური ბუნებისა და განვითარების დინამიკური პროცესის სტატიკური სამართლებრივი განმარტების ჩარჩოებით შეზღუდვა არ არის მიზანშეწონილი.

სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა ზოგადია მის მომდევნო ნორმებთან მიმართებაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი ზიანის მიყენების ყველაზე გავრცელებულ, თუმცა, მაინც კონკრეტულ შემთხვევებს არეგულირებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დელიქტი განიმარტება, როგორც ვალდებულების წარმოშობის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რომელიც მართლსაწინაარმდეგო და ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ემსახურება და არეგულირებს ამ ურთიერთობებიდან (ე.ი. ზიანის მიყენებიდან) წარმოშობილ უფლებებსა და მოვალეობებს.

დელიქტის ცნების სამართლებრივი შინაარსის დაზუსტებისათვის აუცილებელია იმ მიზნის განსაზღვრა, რომელსაც დელიქტური სამართლის ნორმები ემსახურება. ჩვეულებრივ, კანონმდებელი თავის მიზანს, ანუ სამართლებრივი დაცვის ღირსი სიკეთის ხელშეუხებლობას მათი ჩამოთვლით აღწევს.

აღნიშნულის კლასიკური მაგალითია გერმანული სამოქალაქო სჯულდების § 823, რომლის თანახმადაც, სამართლებრივი დაცვის ღირსად აღიარებულია სიცოცხლე, ადამიანის სხეული, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება „ან მათი მსგავსი“ სხვა უფლება. სწორედ ეს უკანასკნელი, აბსტრაქტული ფორმულირება მსგავსებაზე წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკის განვითარების შესაძლებლობას და აძლევს სასამართლოს დაიცვას ასევე ის უფლებები, რომლებიც პირდაპირ არ არის კანონში ჩამოთვლილი.

მოშველიებული საკანონმდებლო დანაწესის საფუძველზე, ცხადია რომ, უმთავრესი სიკეთე, რის წინააღმდეგაც შეიძლება მართლსაწინაარმდეგო ქმედება იყოს მიმართული, არის პიროვნება და საკუთრება. ამ ორი უფლების სხვადასხვა კომბინაციამ კი შეიძლება მოგვცეს ცალკე აღებული სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაცვასაც კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს.

პიროვნებაში იგულისხმება გარკვეული სოციალური ღირებულებების მატარებელი ინდივიდი, რომელსაც შეუძლია, ერთი მხრივ, განახორციელოს უფლებები და მეორე მხრივ, აიღოს პასუხისმგებლობა საზოგადოების კონკრეტული წევრების, გარკვეული ჯგუფის ან მთელი საზოგადოების წინაშე. კპიროვნების ცნების ქვეშ ერთიანდება ყველა ის სიკეთე, რომელიც მის არსებობას დროსა და სივრცეში უზრუნველყოფს (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, სხეულის ხელშეუხებლობა და ა.შ.) და ასევე ის „არამატერიალური კატეგორიები,“ რომელთა გარშეც პიროვნება არ არსებობს (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია და ა.შ.).

ამ შემთხვევაში საკუთრება გულისხმობს პირის ყველაზე ფართო შესაძლებლობას, ისარგებლოს ნებისმიერი სიკეთით, რომელზეც მას მართლზომიერად ხელი მიუწვდება.

ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეიძლება დაყვანილ იქნეს პირველის (პიროვნების), მეორის (საკუთრების) ან ორივეს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ხელყოფაზე, შეიძლება დელიქტად იქნეს განხილული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლების ყველაზე ფართო უფლებად აღიარება არ გულისხმობს მის აბსოლუტურ შეუზღუდავობას. სამართალი არ აღიარებს და დაცვას არ ანიჭებს უფლებას, რომელიც მხოლოდ იმიტომ ხორციელდება, რომ ზიანი მიადგეს სხვას.⁶

რაც შეეხება სსკ-ის 992-ე მუხლს. პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. „ზიანი“ სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.

⁶ ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია - სახელმწიფო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2014 წ. გვ 67.

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიძლება წარმოიშვას ერთი მხრივ, ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, მეორე მხრივ კი, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში. ზიანის წარმოქმნისას სუბიექტის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო“ ზიანს.⁷ რომელთაც ამომწურავად განვიხილავ შემდეგ პუნქტში.

ზოგადად, თანამედროვე იურისპრუდენციაში საკმაოდ დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დელიქტის ცნება. საქართველოს 1997 წლის 26 ივლისის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი დელიქტს განმარტავს როგორც იმ პირის მოქმედებას, „რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს“. დელიქტის ზოგად განმარტებად კი შეიძლება მივჩნიოთ „სამართალდარღვევა, მიმართული საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც ისჯება კანონით“. თუმცა სამოქალაქო სამართლებრივ დელიქტად ითვლება დარღვევა, რომელიც დაკავშირებულია არა ხელშეკრულების დარღვევასთან, არამედ ზიანის მიყენებასთან. ზიანის მიყენებაში კი იგულისხმება ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი, ფიზიკური ტრავმა, ცილისწამება, პირადი თავისუფლების, საკუთრების უფლებისა და კომერციული ინტერესების შეზღუდვა. მოწინავე გერმანული ცივილისტიკა დელიქტად - *Unerlaubte Handlungen* მიიჩნევს აკრძალულ მოქმედებას, დანასაულებრივ მოთხოვნას. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით კი, მას *Zwischenrecht* -ს (სანართალსორის ნორმებს) უწოდებენ. სრულიად განსხვავებულ განმარტებას გვაძლევს საერთო სამართლის ქვეყნების სამართალი, სადაც დელიქტად (*tort wrong, tortus wrong*) მიჩნეულია მოქმედება,

⁷ ლ. ჭანტურია - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტომი II, გამომცემლობა სამართალი, თბ. 2011წ. გვ 378.

რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებებს და როცა ზიანის მიმყენებელი იდენტიფიცირებულია და იგი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. ამასთან, ზიანად მიჩნეულია არალიკვიდრებული ზიანი, რომელიც გამომდინარეობს ნდობის დარღვევიდან, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ვალდებულებების დარღვევიდან.

992-ე და შემდგომი ნორმებიდან გამომდინარე, ზიანი შეიძლება მიაღდეს სხვა პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრების უფლებას, მატერიალურ ქონებას ან სხვა უფლებას. ანალოგიურად, ვალდებულება მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უნდა დაეკისროს ასევე პირს, რომელიც არღვევს კანონს, რომელიც სხვა პირის ინტერესებს იცავს. თუკი კანონიდან გამომდინარე ბრალის გარეშეც შეიძლება ზიანის მიყენება, - ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ ბრალის არსებობისას დგება. ამ შემთხვევაში ქართული სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ანალოგიურია ბგბ-ის 823 პარაგრაფისა.

„იმისათვის, რომ ქმედება 823-ე პარაგრაფის დარღვევად მივიჩნიოთ, აუცილებელია შემდეგ წინაპირობებს აკმაყოფილებდეს: პირველ რიგში, დარღვევა უნდა იყოს ადამიანის ქცევის შედეგი რაც ხელყოფს ერთ-ერთ ჩამონათვალ სიკეთეს მაინც, კერძოდ: სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას; მეორე რიგში კი აუცილებელია დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და იმ შედეგს შორის, რომელიც ზიანის სახით მოსარჩელემ განიცადა.“⁸

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დელიქტური ვალდებულების შესახებ ზოგადი წესი 992-ე მუხლშია ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება ჰოლანდიურ სამოქალაქო კოდექსს. დელიქტის ზოგადი წესის განმარტებას 6:162 მუხლის 1-ლ ნაწილში ვხვდებით. ამ მუხლის თანახმად:

⁸ ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე - კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, ლექციების კურსი, თბ. 2016წ. გვ 386

„პიროვნებას, რომლის მიმართ ჩაიდინეს უკანონო ქმედება, შეუძლია მოითხოვოს მიენებული ზიანის ანაზღაურება.“

თუ გავანალიზებთ ორივე ქვეყნის სამოქალაქო სამართალში არსებულ ზოგად წესს და ცოტა მეტად ჩავუღრმავდებით კოდექსის სხვა წესებს, აღმოჩნდება, რომ, როგორც საქართველოში, ისე ნიდერლანდებში, დაზარალებულმა პიროვნებამ - მოსარჩელემ - სასამართლოს წინაშე უნდა დაადასტუროს ხუთი პირობის არსებობა. უპირველეს ყოვლისა, სამართალდამრღვევის ქმედება უნდა იყოს კანონსაწინააღმდეგო, მეორე - კანონდამრღვევის ქმედება გაუფრთხილებლობით მაინც უნდა იქნეს ჩადენილი, მესამე - ქმედება სამართალდამრღვევს უნდა მიეწერებოდეს, მეოთხე - მოპასუხემ უნდა განიცადოს ზიანი და მეხუთე - ზიანი სამართალდამრღვევის ქმედებით უნდა იყოს განპირობებული.⁹

§3. გამიჯვნა სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისაგან

ზიანის წარმოქმნისას სუბიექტის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობისა და მისი ანაზღაურების ვალდებულების წარმოქმნის სხვადასხვა სამართლებრივი საუბვლის შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს „სახელშეკრულებო“ და „არასახელშეკრულებო ზიანს“.

„სახელშეკრულებო ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით. იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის მიყენებამდე მხარეები უკვე იმყოფებოდნენ განსაზღვრულ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის განისაზღვრება შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებით, ან იმ კანონით, რომელიც არეგულირებს მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობებს. „არასახელშეკრულებოდ“ ისეთი ზიანი ითვლება, რომელიც ვალდებულებიდან არ

⁹ მ. თოდუა, ჰ. ვილემსი - ვალდებულებითი სამართალი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006წ.

წარმოიშობა, იგი წარმოიშობა უშუალოდ სამართალდარღვევიდან და მას დელიქტურ ვალდებულებებს უწოდებენ, მას ასევე „სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებას“ ან კიდევ „უნებართვო ქმედებისგან“ წარმოშობილ ვალდებულებასაც უწოდებენ.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა შემთხვევაში, მხარეები არა მარტო ვალდებულების წარმოშობას, არამედ მის შინაარსსაც განსაზღვრავენ. სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებათა შორის არსებული განსხვავების ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ ხელშეკრულებათა ფორმასა და შინაარსს ირჩევენ თავად მხარეები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი პირდაპირ კრძალავს გარკვეული სახისა თუ შინაარსის ხელშეკრულების გაფორმებას, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულებათა რეგულირება მხოლოდ კანონის საფუძველზეა შესაძლებელი. ვალდებულებათა სახელშეკრულებო სისტემა არი „ღია“ მაშინ, როცა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა სისტემა არის „დახურული“.

უკანონო ქმედების ჩადენა მესამე პირის მიმართ არასახელშეკრულებო სამოქალაქო პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია. აზრი, რომ ერთი პიროვნება მეორეს წინასეა პასუხისმგებელი, მის მიმართ უკანონოდ განხორციელებული ქმედების გამო, შეიძლება ჩამოყალიბდეს ზოგადი წესის საფუძველზე ან სხვადასხვა სახის უკანონო საქციელის ჩამოთვლით. დღესდღეობით, სამართლებრივი სისტემის უმეტესობა ორ მოსაზრებაზე თანხმდება: მათ, ერთი მხრივ ჩამოაყალიბეს დელიქტური ვალდებულებების სესახებ ერთი ზოგადი წესი და მეორეს მხრივ, შემოიღეს კონკრეტული წესები უკანონო ქმედებათა კონკრეტული სახეობებისთვის, რომლებიც სამოქალაქო პასუხისმგებლობას იწვევს.

ქართულ სამართალში არსებობს დელიქტური ვალდებულებების კონკრეტული წესები, რომლის საერთო დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ პირი პასუხისმგებელია დელიქტური ვალდებულებისათვის მასინაც, თუ ქმედება

გულგრილობით არ იყო განპირობებული, ან ის საერთოდ არ მოქმედებდა. ეს ის მაგალითებია, რომელსაც ინგლისში „მკაცრ პასუხისმგებლობას უწოდებენ“. ამდენად, მოსარჩელეს არ სჭირდება ამტკიცოს, რომ მოპასუხე გულგრილობით მოქმედებდა. ამ საკითხთან დაკავშირებული წესები ეხება კონკრეტულ შემთხვევებს, რომელშიც მართალია, მიღებულია დელიქტური ვალდებულების შესახებ ზოგადი ცნებიდან ამოსვლა, რადგანაც ზიანის გამომწვევი მოქმედება კონკრეტული საფრთხის მატარებელია, ან რადგანაც არსებობს ურთიერთობა დელიქვენტსა და პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს შორის, რომელიც ამტკიცებს, რომ მესამე პირისათვის არ იყო გამიზნული.

საფრთხის გამომწვევი ქმედებისათვის მკაცრ პასუხისმგებლობას ვხვდებით სსკ-ის 1000-ე, 1003-ე, 1004-ე, 1009-ე და ა.შ. მუხლებში. მკაცრ პასუხისმგებლობას სხვა პირის მიერ ჩადენილი ქმედების ან უმოქმედობისათვის, ამ პირსა და რეალურ სამართალდამრღვევს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობის გამო, ხშირად, „სხვა პირის მაგივრად აღებულ პასუხისმგებლობას“ უწოდებენ. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ სსკ-ის 994-ე მუხლი, მშობლის პასუხისმგებლობა შვილის მიერ მიყენებული ზიანისათვის სხვა პირის მიმართ, ან კიდევ, სამსახურის მიერ მისი მუშაკის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა და სხვ. შევნიშნავთ, რომ ქართულ სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს ცალკე დებულება, რომელიც ცალკე დაარეგულირებდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის (სკ-ის 1005-ე მუხლი). აღნიშნული ნორმა არეგულირებს მხოლოდ შემთხვევას სახელმწიფო მოხელის მიერ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის. რაც შეეხება საგადასახადო კანონმდებლობას (მ.63), იგი პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ თუ საგადასახადო ორგანოს მუშაკმა ზედმეტად გადაახდევინა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები პირს, - იგი ვალდებულია მის უკან დაბრუნებაზე.

საინტერესოა აღინიშნოს ფაქტი იმის შესახებ, რომ კანონით გათვალისწინებული წესები, რომლებიც არასახელშეკრულებო ვალდებულებებს აწესრიგებენ, ცალკეულ ვალდებულებებსაც ეხება, რომლებიც ხელშეკრულებიდან წარმოიშობიან, მაგალითად, სკ-ის 527-ე მუხლის თანახმად, „თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, იგი ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამიტ მიყენებული ზიანი“. ჩუქების უსასყიდლო სამართლებრივი ბულებიდან გამომდინარე, იგი მაინც გარკვეულ მოვალეობებს აკისრებს გამჩუქებელს, რომ ჩუქების საგანი უნაკლო უნდა იყოს, რომ დასაჩუქრებულისათვის ზიანი არ გამოიწვიოს. ღოგორი შეიძლება იყოს ასეთი ქმედება? მაგალითად, მეზობლის მიერ მეზობლისათვის ნაჩუქარმა დაავადებულმა პირუტყვმა, დასაჩუქრებული პირის პირუტყვის დაცემა გამოიწვია და სხვ. მჩუქებლის „ქონებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებიტ დადგენილი საფუძვლების არსებობა, რომლებიც დელიქტურ ვალდებულებებს ეხება. პრაქტიკაში მჩუქებლის პასუხისმგებლობის გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო წამალ-ქიმიკატების, ავი და მოუთვინიერებელი ცხოველების, ცეცხლსაშიში ნივთების ჩუქება და სხვ. ყველა შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს. აქ გამოკვეთილია ნდობის დაცვის ინტერესი. კერძოდ, პოტენციური დაზარალებული არ არის ვალდებული თავად მიიღოს პრევენციული ზომები, ვინაიდან მას უფლება აქვს სრულად დაენდოს მჩუქებელს (ზიანის მიმყენებელ პირს), რომ მან დასაჩუქრებულს ნივთობრივად უნაკლო ნივთი გადასცა, ვალდებულმა პირმა მეორე პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ქონება და ა.შ. საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს.¹⁰

§4. დელიქტური სამართლის სუბიექტები

¹⁰ი.ხარაზი, ქ. კვინიკაძე - სდასუ, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, ლექციების კურსი, თილისი 2016წ. გვ 380

დელიქტურ სამართალში პასუხისმგებლობის სუბიექტია პირი, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით აყენებს სხვა პირს ზიანს და ეს ზიანი ანაზღაურებადია. კრედიტორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, მოვალე ყოველთვის დელიქტუნარიანი პირია, პირი, რომელიც თავისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებით აგებს პასუხს დაზარალებულის წინაშე, ხოლო დაზარალებული - პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მატერიალურ ქონებას და ა.შ. ზიანი მიაღდა. დელიქტის დროს სახეზეა ზიანი და ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, რომლის ძალითაც, კრედიტორი ყოველთვისაა უფლებამოსილი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ზიანის მიყენება შეიძლება მოხდეს არა მარტო აქტიური მოქმედებით (რომელსაც უშუალოდ ზიანის მიმყენებელი პირდაპირ იწვევს), არამედ იგი გამოიხატება უმოქმედობაშიც, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლება. იმ სემტხვევაში, თუ პირი ვალდებული იყო გარკვეული მოქმედება განეხორციელებინა, რათა სხვა პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტს ადგილი არ ჰქონოდა, მაგ: სკ მ. 994 (სადაც საუბარია არასრულწლოვანის მშობლის პასუხისმგებლობაზე შვილის მიერ მიყენებული ზიანისათვის), მ. 995-ის მე-2 ნაწილი (მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობაზე საუბარი), მ. 997-ე და სხვ.¹¹

§5. განსხვავებები სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის საქართველოს და ჰოლანდიის სამართლის მიხედვით

¹¹¹ ი. ხარაზი, ქ. კვინიკაძე - კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ. 2016წ. გვ 384

როგორც ნიდერლანდების, ისე საქართველოს კერძო სამართალში არსებობს ორი კატეგორიის ვალდებულება, კერძოდ, ერთი, რომელიც იქმნება ხელშეკრულებიდან და მეორე, რომელიც წესდება სამოქალაქო კოდექსით. სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში ადგილი აქვს ღია სისტემას: გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში მხარეებს შეუძლია დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელსაც მოისურვებენ, მათ შორის, ისეთი ხელშეკრულებაც, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით. რაც შეეხება არასახელშეკრულებო ვალდებულებებს, ასეთი ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში. როგორც სანივთო უფლებების შემთხვევაში, აქაც ადგილი აქვს არასახელშეკრულებო ვალდებულებების „ჩაკეტილ სისტემას“, ანუ *”numerus clausus”*. საქართველოშიც და ნიდერლანდებშიც არასახელშეკრულებო ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას დელიქტიდან (tort) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებით, უსაფუძვლო გადახდით და უსაფუძვლო გამდიდრებით.

სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის მთავარი განსხვავება, რა თქმა უნდა, არის ის, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა ნებაყოფლობით, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულება ეკისრება კანონით, მოვალის ნების საწინააღმდეგოდ. ეს იდეა ასახულია სსკ-ის 317-ე მუხლის პირველ ნაწილში და ჰსკ-ის 6:1 მუხლში და 213-ე მუხლის პირველ ნაწილში.

ამ განსხვავების შედეგი არის ის, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებებისას მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ როგორი შინაარსის უნდა იყოს მათი უფლებები და ვალდებულებები. ეს ნიშნავს, რომ უთანხმოების შემთხვევაში, მოსამართლემ უნდა განმარტოს მხარეთა განზრახვა და გადაწყვიტოს, რაზე შეთანხმებას იზრახავდნენ მხარეები. მოსამართლის საქმე არ არის ის, თუ რა მიაჩნია პირადად მას სამართლიანად და გონივრულად. არასახელშეკრულებო ვალდებულების შემთხვევაში კი, მეორე მხრივ, ვალდებულების შინაარსი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსიდან. უთანხმოების შემთხვევაში

მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, ასე ვთქვათ, რა განზრახვა ჰქონდა კანონმდებელს ან რას ნიშნავს კანონის სიტყვები.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში, მხარეები ხშირად თვითონ იქმნიან ვალდებულებებს, რომლებიც გამიზნულია მათ მიერ შესრულებაზე და ამით, ამ ვალდებულებების შეწყვეტაზე. მაგალითად, თუ ა დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას ბ -სთან და ივალდებულებს, რომ მიაწოდოს გაყიდული საქონელი, მაშინ იგი არ იზრახავს ვალდებულების არშესრულებას, არამედ პირიქით, მისი განზრახვა არის ის, რომ შეასრულოს ვალდებულება და ამით შეწყვიტოს იგი. იგივე ითქმის ბ-ზე. იგი არ ივალდებულებს, რომ გადაიხადოს შეთანხმებული ფასი იმ განზრახვით, რომ დაარღვიოს ხელშეკრულება, არამედ იმ განზრახვით, რომ შეასრულოს იგი და ამგვარად გათავისუფლდეს ვალდებულებისაგან.

მეორე მხრივ კი, ხშირად არასახელშეკრულებო ვალდებულება წარმოიშობა სწორედ იმ ფაქტიდან, რომ ვალდებული პირი არღვევს პირობას. მაგალითად, არსებობს ზოგადი ვალდებულება, რომ შენს მეზობელს არ უნდა ჩაართყა მუშტი მუცელში, მაგრამ თუ განზრახ ასე მოიქცევი და ამ საქციელით ზიანს მიაყენებ მეზობელს, მაშინ მოქმედებას იწყებს სწორედ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის, დელიქტის შედეგი, რაც გამოიხატება მეზობლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში.

მოსამართლის გადასაწყვეტია, რა შედეგი ექნება არშესრულებას. თუ დელიქტური ქმედებით ფიზიკური ზიანი მიაღწა მესამე პირს, მოსამართლე გადაწყვეტს: ეკისრება თუ არა დამრღვევს პასუხისმგებლობა, რაში გამოიხატება ზიანი, ზიანი გამოწვეულია თუ არა დელიქტური ქმედებით, კანონის მიხედვით, დამრღვევი სრულად აგებს პასუხს თუ ნაწილობრივ, მაგალითად, ზიანი ნაწილობრივ თვით დაზარალებულის გამოწვეული თუ არის და ა.შ. თუმცა, რა თქმა უნდა, მხარეებმა შეიძლება კომპრომისის მიაღწიონ ამ საკითხებზე და თვითონ

შეთანხმდნენ ჩადენილი სამართალდარღვევის შედეგებზე, მაგრამ ასე, როგორც წესი, არ ხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ვალდებულებები ურთიერთგამომრიცხავია. პირი, რომელსაც მიაღმა ზიანი, ვერ მიმართავს სასამართლოს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო, ისევე, როგორც იმ ვალდებულების დარღვევის გამო, რომელიც გამომდინარეობს კანონიდან. სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებათა შორის არსებული განსხვავების ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ ხელშეკრულებათა ფორმასა და შინაარსს ირჩევენ თავად მხარეები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი პირდაპირ კრძალავს გარკვეული სახისა თუ შინაარსის ხელშეკრულების გაფორმებას, ხოლო არასახელშეკრულებო ვალდებულებათა რეგულირება მხოლოდ კანონის საფუძველზეა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა სამართლის სისტემები. თუ ყურადღებას არ გავამახვილებთ უმნიშვნელო დეტალებზე, მათი უმეტესობა ერთმანეთის მსგავსია. ყველა სამართლის სისტემა აღიარებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა უკანონო ქმედებების ან დელიქტისაგან, რაც წარმოადგენს არასახელშეკრულებო ვალდებულებათა წარმოშობის უმნიშვნელოვანეს საფუძველს. დელიქტური ვალდებულების მარეგულირებელ ნორმებს ჩვენ ვხვდებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის სპეციალური ნაწილის მე-3 თავში, ხოლო ნიდერლანდებში სამოქალაქო კოდექსის მე-6 წიგნის მე-6 თავში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის კერძო ნაწილის მეორე კარი ეხება კანონით დადგენილ არასახელშეკრულებო ვალდებულებებს. აღნიშნული კარის პირველი თავის სათაური არის „საზიარო უფლებები“. რაც ვფიქრობ, რომ კანონმდებლის შეცდომაა. საზიარო უფლებები წარმოადგენს არა ვალდებულებითი სამართლის, არამედ სანივთო სამართლის განუყოფელ ნაწილს, რამეთუ ისინი არეგულირებს, უძრავი ქონების თანამესაკუთრე ორი ან მეტი პირის უფლებებსა და მოვალეობებს. მართალია, ეს უფლებები და

მოვალეობები ასახულია კანონში, თუმცა ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ საზიარო უფლებების სამართლებრივი სუბიექტი წარმოადგენს სამართლის ნაწილს, რომელიც კანონით დადგენილ ვალდებულებებს შეეხება.

უკანონო ქმედების ჩადენა მესამე პირის მიმართ არასახელმწიფო სასამართლო პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია. აზრი, რომ ერთი პიროვნება მეორეს წინაშე პასუხისმგებელი, მის მიმართ უკანონოდ განხორციელებული ქმედების გამო, შეიძლება ჩამოყალიბდეს ზოგადი წესის საფუძველზე ან სხვადასხვა სახის უკანონო საქციელის ჩამოთვლით. დღესდღეობით, სამართლებრივი სისტემის უმეტესობა ორ მოსაზრებაზე თანხმდება: მათ, ერთი მხრივ, ჩამოაყალიბეს დელიქტური ვალდებულების შესახებ ერთი ზოგადი წესი და, მეორე მხრივ, შემოიღეს კონკრეტული წესები უკანონო ქმედებათა კონკრეტული სახეობებისათვის, რომლებიც სამოქალაქო პასუხისმგებლობას იწვევს. სამართლებრივი სისტემის უმეტესობაში ზოგადი წესი ძალზე შედარებითი ცნებაა.¹²

¹² მ. თოდუა, ჰ.ვილემსი - ვალდებულებითი სამართალი - ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006წ. გვ. 81.

თავი II. დელიქტური სამართლის პრობლემატიკა.

§1. ზოგადი ნაწილი

დელიქტის მარეგულირებელი ნორმები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 თავი, მუხლები 992-დან 1016-ის ჩათვლით) არეგულირებენ ე.წ. დელიქტური სამართლის სფეროს. სამართლის ამ ინსტიტუტისათვის ნიშანდობლივია, რომ მოვალემ (დამზიანებელი, ზიანის მიმყენებელი) პასუხი უნდა აგოს მის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედებისათვის. ამასთან, ამ ვალდებულების წარმოშობისათვის არ არის აუცილებელი წინათ არსებულიყო ან არსებობდეს მასსა და კრედიტორს (დაზარალებულს) შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა.

ამ შემთხვევაში საუბარია ძირითადი პასუხისმგებლობის სამ ჯგუფზე:

1. პასუხისმგებლობა გამოწვეული ბრალეული მოქმედებით (992-ე, 993-რ, 1001-ე, 1005-ე მუხლები)

2. პასუხისმგებლობა გამოწვეული სავარაუდოდ ბრალეული მოქმედებით, რომლის გაქარწყლებაც შესაძლებელია (994-ე, 996-ე, 997-ე მუხლები)

3.პასუხისმგებლობა გამოწვეული ზიანის მიყენების შედეგად ბრალის და სამართლიანობა-უსამართლობის საკითხისათვის ანგარიშმიუცემლად (999-ე, 1000-ე, 1003-ე, 1004-ე, 1009-ე მუხლები)¹³

§2. დელიქტური პასუხისმგებლობის ელემენტები

ზოგადად სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, მოვალისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება (ზიანის ანაზღაურების დაკისრება), შესაძლებელია თუ არსებობს შემდეგი ოთხი ელემენტი: 1) მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. 2) ზიანი. 3) მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის. 4) მოვალის ბრალი.

თუმცა არსებობს ისეთი საგამონაკლისო დელიქტები, რომლებიც ბრალისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეშე ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას. ასეთია ე.წ. მომეტებული საფრთხის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევები (მაგ. ელექტრო მოწყობილობიდან გამომდინარე ზემოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი).

ევროპულ მოდელურ კოდექსში (DCFR – Draft Common Frame of Reference) მოცემულია გენერალური დელიქტის ცნება (992-ე მუხლის ანალოგი). ნორმა ორი ნაწილისგან შედგება:

1. პირი რომელსაც მიადგა ზიანი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობითი განხორციელებული ქმედების გამო ან სხვაგვარად პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებისათვის.

¹³ ლუთრინგჰაუსი პ. - დელიქტური სამართალი, Giz BMZ, მოკლე კონსპექტები, გამომცემლობა „სისტა“, თბილისი 2011წ. გვ 14 www.gtz.de/law-caucasus.

2.პირი პასუხისმგებელია მიყენებული ზიანისათვის, გამონაკლის შემთხვევაშიც, როდესაც ზიანი არ არის გამოწვეული მისი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედებით.

აღნიშნული მუხლი უფრო სრულყოფილია ვიდრე ჩვენი 992-ე მუხლი, რადგან გარდა ბრალეული (განზრახ/გაუფრთხილებელი) მოქმედებით მიყენებული ზიანისა, იგი ითვალისწინებს ასევე სხვა შემთხვევებს, როცა პირი პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებისათვის, ასეთ სხვა შემთხვევებში იგულისხმება ისეთი დელიქტები, როცა ბრალისა და მართლწინააღმდეგობის არსებობა არ არის საჭირო.

სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი - ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთან, ზიანის არსებობის ფაქტისა და ამ ზიანის სწორედ მოპასუხის ქმედებით გამოწვევის მტკიცების ტვირთი პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს.¹⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დელიქტურ სამართალში ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. ეს მუხლი ადგენს იმ ოთხ პირობას, რომელთა არსებობაც სავალდებულოა ზიანის მიმყენებლის (დამზიანებლის) პასუხისმგებლობისათვის.

შევცდები განვიხილო თითოეული მათგანი.

ა) მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

¹⁴ BLH – BUSINESS & LEGAL HUB - დელიქტური სამართალი - ზიანის ანაზღაურება. 2014წ.

ზიანის ანაზღაურების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგო იყოს. მართლწინააღმდეგობა ევროპის კონტინენტზე და საქართველოშიც ძირითადად განიმარტება როგორც პოზიტიური (დაწერილი) სამართლისადმი წინააღმდეგობა. თუ პირის ქმედება მართლზომიერია, მას ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრება. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავ). სამართლის კონკრეტული ნორმის დარღვევა მართლწესრიგის მიერ დაცული ინტერესის, მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობის ხელყოფისაკენ უნდა იყოს მიმართული. არ აქვს მნიშვნელობა ზიანი ქონების სრულ განადგურებაში გამოიხატა თუ მისი ღირებულების შემცირებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სხვა პირს, ჩაითვლება იმ ნორმების საწინააღმდეგოს, რომლების საკუთრების უფლებისა და მის საგნად არსებული ქონების ხელშეუხებლობას სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ჩარევისაგან იცავენ.

ხშირად ის იურიდიული ტექნიკა, რომელსაც კანონმდებელი იყენებს, გამორიცხავს ყოველი კონკრეტული ქმედების შემადგენლობის აღწერისას იმის მითითებას, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. მაგალითად, 998-ე მუხლში მითითებულია, რომ „თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამოდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები“. აქ ნორმის აგებისას კანონმდებელი იყენებს იურიდიულ ტექნიკას, რომელიც საჭიროდ არ მიიჩნევს იმის გამეორებას, რომ „ზიანის დადგომაში მონაწილე პირები“ მართლსაწინააღმდეგოდ უნდა მოქმედებდნენ. ქმედების შემადგენლობის აღწერა სამართლის ნორმის მიერ და ასეთი ქმედებისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციის დაწესება, თავისთავად ნიშნავს, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის კანონმდებლის ინტერესის საგანი არ გახდებოდა.¹⁵

¹⁵ ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია - სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2014წ. გვ 684.

რაც შეეხება გერმანული სამართლის მიდგომას ამ საკითხისადმი.

1.მნიშვნელობა. § 823-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები წინაპირობად ითვალისწინებს მართლწინააღმდეგობას. თუმცა სადავოა თუ რას ეხება მართლწინააღმდეგობის შეფასება - დამდგარ შედეგს (სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენება) თუ ზიანის მიმყენებლის მხრიდან ზიანის მიმყენებელ მოქმედებას.

ა) მოძღვრება შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ. პირველ ნაწილში ცალკეული დელიქტური ნორმებით დაცული აბსოლუტური უფლებებისა და სამართლებრივი სიკეთეების ჩამონათვალის საფუძველზე კანონი გამოდის იქიდან, რომ ასეთი სიკეთის დარღვევა, როგორც წესი, მართლსაწინააღმდეგოა. როგორც შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრება ასკვნიდა, პირველი ნაწილით დაცული სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა აღარ საჭიროებს განსაკუთრებულ დადგენას; ითქვა , რომ მართლწინააღმდეგობა ვლინდება (ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისი) შედეგით. ცნება „ კანონსაწინააღმდეგო“ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ზიანის მიმყენებელს (გამონაკლისის სახით) შეიძლება არ დაეკისროს პასუხისმგებლობა გამამართლებელი საფუძვლის მტკიცებით. მხოლოდ ჩარჩო უფლებების შემთხვევაშია სავალდებულო მართლწინააღმდეგობის ცალკე მტკიცება.

ბ) მოძღვრება მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ. საწინააღმდეგო აზრის თანახმად, მართლწინააღმდეგობის შეფასება ეხება ზიანის მიმყენებელ ქმედებას; სამართლებრივი სიკეთის ნებისმიერი დარღვევისას საჭიროა მართლწინააღმდეგობის დადგენა. რამდენადაც ზიანის მიმყენებელი მოქმედება არ არღვევს სპეციალურ საკანონმდებლო ქცევის წესებს, მართლწინააღმდეგობა სახეზეა მხოლოდ ზოგადი წინდახედულობის (გაუფრთხილებლობის) ვალდებულების დარღვევისას. ამით საბოლოოდ ხდება ბრალის ელემენტების წამოწევა მართლწინააღმდეგობის სიბრტყეზე. გამონაკლისი არსებობს სამართლებრივი

სიკეთის განზრახი დარღვევისას; ამ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა ვლინდება მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების თანახმადაც.

გ) დაბალანსებული შეხედულების თანახმად მართლწინააღმდეგობა ვლინდება მხოლოდ უშუალოდ მიყენებული ზიანის მიზეზობრიობის შემთხვევაში, (შესაბამისად, ანალოგიური შედეგია ისეთი მიზეზობრიობის შემთხვევაშიც, რაც არ იწვევს პირდაპირ სამართლებრივი სიკეთის დარღვევას, მასში ცართული დამოუკიდებელი მომენტების გარეშე). მოქმედების განხორციელებისად თავის შეკავებისა და ზიანის გამომწვევი უფრო დაცილებული მიზეზების შემთხვევაში, მოქმედების მართლწინააღმდეგობა სპეციალურად უნდა დადგინდეს .

დ) სასამართლო პრაქტიკა დავის მიმართ ბოლო დრომდე არ იკავებდა ერთგვაროვან პოზიციას. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დიდი სენატის გადაწყვეტილებაში(BGHZ, 24, 21, 26) ჩამოაყალიბა პოზიცია, რომ „საავტომობილო გზებსა თუ რკინიგზაზე მოძრაობის მონაწილის მიერ მოძრაობის წესების დაცვით (სათანადო) მოქმედების შემთხვევაში მართლწინააღმდეგო ზიანის მიყენება არ ხდება“ (ამდენად, ხდება მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრებასთან დაახლოება); სხვა მხრივ, მოძღვრების წესების დაცვით მოქმედება კლასიფიცირებულია როგორც გამამართლებელი საფუძველი, რომლის მტკიცებაც ეკისრება მოპასუხეს. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამჟღავნებს ტენდენციას, შეზღუდოს შედეგის გამოვლენის მქონე მართლწინააღმდეგობის კონცეფცია.

2.გამამართლებელი საფუძვლები. გამოვლენილი ან დადგენილი მართლწინააღმდეგობის შემთხვევაში, გამამართლებელი საფუძვლის ჩარევას შეუძლია მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა. აღსანიშნავია: აუცილებელი მოგერიება; აუცილებელი დახმარება (თავდაცვითი, თავდასხმითი); თვითდახმარება; დასაბუთებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე; დაზარალებულის თანხმობა; საკუთარი რისკით

მოქმედება; ძირითადად უფლებების რეალიზაციამ შეიზლება გაამართლოს მესამე პირების უფლებების ხელყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებების დარღვევა არ არის ძირითადი უფლების რეალიზაციის არაგანზრახული, თუმცა, არა გარდაუვალი შედეგი, ან, როდესაც მესამე პირების სამართლებრივი სიკეთე, მართალია გამიზნულად, თუმცა, მხოლოდ მოკლე დროით და ისიც მცირე, შედარებით უმნიშვნელო მასშტაბით დაირღვა.¹⁶

მართალია ორივე ქვეყნის სამართლებრივი მიდგომა აღნიშნულ საკითხს თითქმის იდენტურად განიხილავს, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ გერმანული სამართალი უფრო დაკონკრეტებით საუბრობს, სიღრმისეულად აქვს გაანალიზებული და მეტად ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე.

ბ) ზიანი.

ზიანის ერთიანი და უნიფიცირებული ცნების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. სირთულეს განაპირობებს თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომპლექსური და არაერთგვაროვანი ხასიათი. ერთი მხრივ, ტერმინის ყოფთი მნიშვნელობა თითქოს ყველასათვის გასაგებია და მას სამართლებრივი განსწავლულობა სულაც არ სჭირდება. მეორე მხრივ კი, ზიანის ცნების ზუსტ დეფინიციაზე კონკრეტული სამართლებრივი შედეგი და ადამიანთა ბედია დამოკიდებული. თუ ვაღიარებთ, რომ სამოქალაქო ბ რუნვის ყველა მონაწილისათვის ერთნაირად მისაღები ზიანის ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია, ისღა დაგვრჩება, მოვძებნოთ ობიექტური მახასიათებლები, რომლებიც ცივილიზებული საზოგადოებისათვის პრინციპულად მისაღებ ნიშნებს გაუსვამს ხაზს.

¹⁶ კროპპოლერი ი. - გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბ. 2014წ. გვ 640

ზოგიერთი მართლწესრიგი და მის საზღვრებში განვითარებული სასამართლო პრაქტიკა საერთოდ უარს ამბობს ზიანის ზოგადი ცნების ჩამოყალიბებაზე და შემოფარგლება მისი ცალკეული ნიშნების გამოყოფით. მაგალიტად, ფრანგული სასამართლოები ხშირად მიუთითებენ, რომ ზიანი უნდა იყოს პირდაპირი, განსაზღვრული და კონკრეტულ პირზე მიმართული (პერსონალური).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის სხვა კანონები ზიანის ლეგალურ დეფინიციას არ იძლევიან. მისი განმარტება სასამართლო გადაწყვეტილებებში და აკადემიურ ნაშრომებში გვხვდება. ვერც სასამართლო და ვერც იურიდიული დოქტრინა უნივერსალური პასუხის გაცემას ვერ ახერხებს.¹⁷

„ზიანი“ სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.

ზიანი სამოქალაქო სამართალში შეიზლება წარმოშვას, ერთი მხრივ, ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობით, მეორე მხრივ კი, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში.

მართალია 992-ე მუხლში მოქმედებით მიყენებულ ზიანზეა მითითებული, მაგრამ ეს ისე არ ინდა გავიგოთ, რომ ზიანი მხოლოდ აქტიური მოქმედებით შეიძლება მიეყენოს. ზიანი შეიძლება უმოქმედობითაც იყოს გამოწვეული. განსხვავებით მოქმედებისაგან, უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგოდ ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედების განხორციელება შედიოდა ზიანის მიმყენებლის ვალდებულებაში. უმოქმედობა გამოხატული არასათანადო აღზრდაში და ზედამხედველობის განუხორციელებლობა მშობლის ან მეთვალყურეობაზე ვალდებული პირების მხრიდან საფუძველია მათთვის ზიანის

¹⁷ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია - სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2014წ.

ანაზღაურების დაკისრებისა არასრულწლოვანი სა სულით ავამყოფის მიმართ მიყენებული ზიანისათვის.

ზიანი შეიძლება მიეყენოს პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან პირიქით ქონებას. სამართალდარღვევის მატერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში იწოდება ქონებრივ ზიანად.¹⁸

„ზიანი“ საბოლოოდ აყალიბებს ანაზღაურების სამართლებრივ წინაპირობათა სისტემას. არსებითად, ანაზღაურების ვალდებულების არსებობის შესახებ დასაბუთებული იურიდიული პასუხი სწორედ იმიტომ ხდება საჭირო, რო სახეზეა ზიანის ფაქტი. თუ ზიანი არ არსებობს, მისი ანაზღაურება უსაფუძვლო გამდიდრების კლასიკური შემთხვევა იქნება, ხოლო „დაზარალებული“ თვითონ მოგვევლინება ვითომ კრედიტორის როლში, რომელიც ვალდებული იქნება დააბრუნოს ყველაფერი, რაც უსაფუძვლოდ მიიღო.

სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციის (ზიანის ანაზღაურების) დაკისრება მცდელობისათვის, ან მხოლოდ კონკრეტული ქმედების ჩადენისათვის ამ ქმედების რეალური უარყოფითი შედეგის არსებობის გარეშე, გამორიცხულია. მაგალითად, თუ პირი გადაწყვეტს სხვა პირის კუთვნილი საუკეთესო არაბული ცხენის მოწამვლას, მაგრამ ცხენი მის მიერ მიწოდებულ მოწამლულ შაქარს პირს არ დააკარებს, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება არ მოხდება ზიანის ფაქტის არარსებობის გამო. ცხადია, სხვა საკითხია, იარსებებს თუ არა ამ პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები და დაეკისრება თუ არა მას, სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქცია.

¹⁸ ლ. ჭანტურია - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001წ. გვ. 378.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მტკიცების ტვირთი ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულობით.

გერმანიის სამართალიც ითვალისწინებს ზიანს. აღნიშნული საკითხი ტიტქმის იდენტურია ქართული სამართლისა.

გ) მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის.

სამართლის სუბიექტი, უპირველს ყოვლისა, ნებაუნარიან პირად, განიხილება, თუმცა ეს არ გამორიცხავს პირის პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისთვის, რომელიც შეიძლება არ იყოს მისი ნების გამოვლენის პირდაპირი შედეგი, მაგრამ განეკუთვნებოდეს „მის განმგებლობაში,“ მისი კონტროლის ქვეშ განხორციელებულ ქმედებათა კატეგორიას. ქმედება ზიანის ანაზღაურების საფუძველია, როცა მოვლენათა განვითარება პირის არჩევანზეა დამოკიდებული. პირი კი ირჩევს ისეთ ქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს სხვას. თუ სხვაგვარი არჩევანი, რომელიც ზიანს არ გამოიწვევდა, შესაძლებელი და „ხელმისაწვდომი“ იყო, განხორციელებული ქმედება ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ.

კანონმდებელი ზიანის ანაზღაურების წინაპირობის ზოგადი განსაზღვრით (992) არ კმაყოფილდება. ზოგადი ფორმულის მომდევნო ნორმები აღწერენ პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულ კონკრეტულ შემადგენლობებს, რომელთა განხორციელებაც შეიძლება ზიანის ანაზღაურების საფუძველი გახდეს. იგივე შეიძლება ითქვას სახელშეკრულებო სამართლის მარეგულირებელ ნორმებზეც, სადაც კანონმდებელი ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობას დამრღვევის მიერ კონკრეტული მოქმედების განხორციელებას უკავშირებს.

ცხადია, კანონმდებლის მიზანი ვერ იქნება ზიანის ანაზღაურების კონკრეტული წინაპირობის ამომწურავი ჩამონათვლის შედგენა. ასეთი მიზანი, შეიძლება ითქვას, მიუღწეველი იქნებოდა. სამოქალაქო ბრუნვა ყოველდღიურად წარმოშობს ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც თავისი შინაარსით უნიკალურია. არ არსებობს გარანტია, რომ ასეთი სიის შედგენის დასრულებიდან თუნდაც რამდენიმე საათში მოხდეს ქმედება, რომელიც ვერ მოთავსდებოდა წინასწარ განსაზღვრულ ჩამონათვალში, მაგრამ უდავოდ ექნება ზიანის ანაზღაურების წინაპირობის ხასიათი. მაგალითად, კიბერშეტევა რომელიმე ცნობილი კომპანიის ვებ-გვერდზე აშკარად არის ქმედება, რომლისთვისაც ჰაკერმა პასუხი უნდა აგოს და ზიანიც უნდა აანაზღაუროს, თუმცა ამის წარმოდგენა სულ რაღაც 20 წლის წინ შეუძლებელი იყო, ვინაიდან არც ჰაკერები არსებობდნენ და არც კომპანიებს ჰქონდათ ვებ-გვერდები.

სამოქალაქო კოდექსში მოცემული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები (ქმედებათა შემადგენლობები) თავის დროზე სწორედ სასამართლო პრაქტიკამ გამოკვეთა. ამის შემდეგ კი ისინი საკანონმდებლო ნორმებად იქცნენ.

ქმედებები, რომლებიც პირდაპირ მოცემულია კანონში და ზიანის ანაზღაურების წინაპირობებად განიხილებიან, წარმოადგენენ ერთგვარ გზამკვლევს სასამართლო პრაქტიკისათვის. არსებული ნორმების ანალიზის საფუძველზე სასამართლო ადგენს კანონმდებლის განზრახვას, თუ რა სახის ინტერესი შეიძლება იყოს სამართლებრივი დაცვის ღირსი და შესაბამისად, რის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება შეიძლება გახდეს ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

ცალკე აღებული ქმედება ჯერ კიდევ არ გულისხმობს ზიანის ანაზღაურებას, როგორც ამ ქმედების ლოგიკურ შედეგს. ქმედების შესაბამისი ნეგატიური შედეგის არსებობა პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი წინაპირობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის პირდაპირი კავშირის (მიზეზობრივი კავშირის) არსებობა.

მიზეზობრივი კავშირის ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული მიზეზთან, როგორც ფილოსოფიურ და ლოგიკურ კატეგორიათა. უნივერსალური ახსნა, თუ რა არის მიზეზი და რაში მდგომარეობს მისი არსი, არ არსებობს

ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და სამართლისათვის ცნობილია რამდენიმე თეორია, რომლებიც მიზეზობრივი კავშირის ახსნას ისახავდა მიზნად. მოვლენათა და ქმედებათა ჯაჭვში თითოეული მათგანის შემოწმება და მათთვის შეფასების დროს ანგარიშის გაწევა შეუძლებელია მიზანშეწონილად ცაითვალოს. ამიტომ თეორიტიკოსების მიერ შემოთავაზებულ იქნა გარკვეული გზები, თუ როგორ უნდა მოხდეს მოვლენათა და მოქმედებათა ჯაჭვის ისე დავიწროება, რომ საბოლოო შედეგის შეფასება შესაძლებელი გახდეს. ერთ-ერთი ასეთი თეორიაა ე.წ. ადეკვატურობის თეორია, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა, მოქმედი პირის მიერ ფაქტებისა და ამ ფაქტების ბუნების კანონებთან დაკავშირებულობის ცოდნაზე. ეს თეორია კერძო სამართალში მხოლოდ მხოლოდ ხარვეზებით თუ იქნებოდა რეცეფცირებული, რადგან ცოდნის, ანუ სუბიექტური დამოკიდებულების შემოტანით გამოირიცხა მიზეზობრივი კავშირის დამტკიცება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევისათვის. ეს თეორია გერმანიაში ინტენსიური კრიტიკის საგანია, ვინაიდან მიიჩნევა, რომ ის ვერ იძლევა პასუხს მიზეზობრივი კავშირის დადგენასთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვაზე.

განმარტების მეთოდის გამოყენებით სასამართლომ უნდა დაადგინოს არის თუ არა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. კანონმდებელი ამ საკითხის რეგულირებისას სავსებით სამართლიანად შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით და დაადგინა, რომ „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“. მეტ კონკრეტიკას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს. არის თუა არა უშუალო მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, სასამართლოს დასადგენია. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ მოვლენათა

ჯაჭვში მოვალის ქმედება განმსაზღვრელი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ზიანი დამდგარიყო. მაგალითად, თუ პირი გადაწყვეტს ააფეთქოს იმ კომპანიის საწყობი, საიდანაც რამდენიმე დღის წინ, მისი აზრით, სრულიად უსამართლოდ გაათავისუფლეს, მაგრამ თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა არ ამოქმედდება, მიზეზობრივი კავშირი სახეზე არ გვექნება, თუ წარუმატებელი მცდელობის მომდევნო დღეს მოსული ძლიერი წვიმის შემდეგ საწყობს მეხი დაეცემა და ცეცხლი გჩნდება.

ცხადია, მიზეზობრივი კავშირის არსებობის ან არარსებობის მტკიცება ყოველთვის ისეთი მარტივი არ არის, როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს. ზოგჯერ შემთხვევა იმდენად კომპლექსურია და ისეთი მოვლენებისა და ქმედებების ურთიერთქმედებით ხასიათდება, რომ ქმედებასა და შედეგს შორის „უშუალო კავშირის“ დადგენა რთულდება. განმარტების მეთოდების გამოყენებით სასამართლო ერთმანეთისაგან გამიჯნავს რელევანტურ და არარელევანტურ ფაქტებს და ქმედებებს, რათა იპოვოს მათ შორის არსებული შინაგანი კავშირი და ასე მიიღოს გადაწყვეტილება.

დ) მოვალის ბრალი.

სამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედების განხორციელებისას პირის სუბიექტური დამოკიდებულებისადმი კანონმდებლის ინტერესი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. პირველ რიგში, პირის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი აუცილებელია დელიქტის სიმძიმის ხარისხისა და მისი ადეკვატური ანაზღაურების განსაზღვრისათვის. მეორე მხრივ, კანონმდებლის ასეთ ინტერესსაქვს პრევენციული მნიშვნელობა საზოგადოების თითოეული წევრისათვის. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებმა უნდა იცოდნენ, რომ სხვისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მათ აუცილებლად მოუწევთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი დაამტკიცებენ, რომ დამდგარ შედეგთან მათ სუბიექტური დამოკიდებულება არ იძლევა პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. ბრალი ზიანის ანაზღაურების კლასიკური სამართლებრივი წინაპირობაა და მისი

არარსებობა თავისთავად გამორცავს დელიქტის არსებობას, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდული რაოდენობის შემთხვევებისა.

ამრიგად, ბრალი გულისხმობს პირის მიერ კონკრეტული ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც ობიექტური შეფასების საგანია. შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირი ბრალეულად მოქმედებდა, იგი ხაზს უსვამს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას, თუმცა მისი შეფასება ემყარება გარკვეულ ობიექტურ კრიტერიუმებს და არ განისაზღვრება კონკრეტული პირის სუბიექტური საზომით. მაგალითად, შესაძლოა პირი სულაც არ გრძნობდეს თავს ბრალეულად მეზობლის კუთვნილი თეთრი თაგვის მოკვლის გამო, რადგან, მისი აზრით, თაგვები საზიზღარი არსებები არიან და ისინი საერთოდ არ უნდა არსებობდნენ. ეს მოსაზრება ვერ გახდება საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სუბიექტური შეფასებიდან გამომდინარე, თაგვის მკვლელმა არ უნდა აანაზღაუროს ზიანი.

ბრალი შეიძლება გამოვლინდეს როგორც განზრახვის, ასევე გაუფრთხილებლობის ფორმით. ეს კერძო სამართლის აღიარებული პოსტულატია. ბრალის ჰორმების სამართლებრივი შინაარსი კერძო სამართალში სისხლის სამართლის ანალოგიური ცნებების იდენტური არ არის. კერძო სამართალში განზრახვის დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად პრაქტიკულ აზრს მოკლებულია და არ გამოიყენება, ვინაიდან განზრახვის არსებობა, სხვა წინაპირობებთან ერთად, უკვე გულისხმობს ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას. ასევე განსხვავებულია გაუფრთხილებლობის კლასიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხიც. თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის ნაცვლად, რაც სისხლის სამართლის კოდექსშია განმარტებული, კერძოსამართლებრივი გაუფრთხილებლობა მოიცავს უხეშ და მარტივ გაუფრთხილებლობას.

ნებისმიერ შემთხვევაში, განზრახვასთან გვექნება საქმე თუ გაუფრთხილებლობასთან, ბრალი ნორმატიული შეფასების საგანია და სუბიექტური საზომის გამოყენება რეკომენდირებული არ არის. შეფასების ნორმატიულობა

ნიშნავს იმას, რომ უნდა შემოწმდეს გულისხმიერებისა და წინდახედულების იმ ხარისხით გამოვლენა, რაც ანალოგიურ პირობებში მყოფ ნებისმიერ პირს მოეთხოვება. ბრალეული პირის პტკიცება, რომ გულუბრყვილო და მიმნდობი ხასიათი აქვს და სინამდვილეში არც კი უფიქრია, რომ თავისი ქმედებით ვინმეს ზიანს მიაყენებდა, მხედველობაში არ მიიღება, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით გულისხმიერებისა და წინდახედულების გამოვლენის ობიექტური სტანდარტი დარღვეულია.

მოპასუხის ბრალეულობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება, რაც არ გამორიცხავს მოპასუხის უფლებას, თავი დაიცვას სარჩელისაგან და თვითონაც წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოს მისი ბრალის საკითხის გარკვევაში დაეხმარება. მტკიცების დროს არ არის სავალდებულო, რომ მტკიცებულებებიდან დამრღვევის მიერ საკუთარი ბრალეულობის პირდაპირი დეკლარირება იკვეთებოდეს. სრულიად საკმარისია მოვლენათა განვითარების ისეთი ურთიერთკავშირის არსებობის დამტკიცება, რომელიც საშუალებას მისცემს სასამართლოს, შეაფასოს დამრღვევის სუბიექტური დამოკიდებულება თავისი ქმედებისა და დამდგარი შედეგებისადმი.¹⁹

მოცემულ საკითხს გერმანული სამართალიც ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც, ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. ბრალეულობა, როგორც მოქმედებისა და სედეგის პირადი გასაკიცხაობის შეფასება, უნდა ეხებოდეს მხოლოდ პასუხისმგებლობის გამომწვევი და არა, პირიქით, პასუხისმგებლობის შემავსებელი საფუძვლის ფაქტობრივ გარემოებას. თუ დელიქტი, ამავე დროს, არის ხელშეკრულებიდან, ან კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაც და აღნიშნული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის

¹⁹ ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია - სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014წ. გვ. 684.

ფარგლებში კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის პრივილეგიის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია გამორიცხულია, მაშინ ეს ორივილეგია ზიანის მიმყენებლისთვის სასარგებლოა დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევაშიც, ვინაიდან, მას მხოლოდ ძალიან მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა. ხელშეკრულებით შეთანხმებული პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემთხვევაში (პასუხისმგებლობისაგან ან ვალდებულებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება) საკითხი წყდება

იმის მიხედვით, სურთ თუ არა მხარეებს მისი გავრცელება ასევე დელიქტურ პასუხისმგებლობაზე.²⁰

²⁰ კროპკოლერი ი. - გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014წ. გვ. 641

თავი III. დელიქტური ვალდებულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

1§. ზოგადი მიმოხილვა

ერთ-ერთი აღიარებული განმარტების მიხედვით, „ზიანის ანაზღაურება (Damages) გულისხმობს ფულად კომპენსაციას, რომელიც შეიძლება სასამართლოს მიერ ერთ მხარეს დაეკისროს მეორე მხარისათვის მიყენებული კონკრეტული ზიანის სანაცვლოდ.

ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები, რომელიც ქართულ სამოქალაქო კოდექსშია მოცემული, შეიძლება ჩაითვალოს მთელი კერძო სამართლისათვის საერთო ზოგად პრინციპებად. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები (408-415) თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტის შედეგად წარმოშობილ ზიანთან მიმართებაში. მათში გადმოცემულ პრინციპებს ემყარება როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურება, ცალკეული ნორმების სპეციფიკის გათვალისწინებით, თუ ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ ის მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებს ეხება, დელიქტურ ვალდებულებაზე იგი მხოლოდ ანალოგიის გზით შეიძლება გავავრცელოთ.

ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ქართული ნორმების ნაწილი დისპოზიციურია, ნაწილი - იმპერატიული. ნორმის ამა თუ იმ დანაწესიდან გადახედვის შესაძლებლობა თვით ნორმის შინაარსიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს. მაგალითად სადავო არ არის 410-ე მუხლის დისპოზიციურობა, რადგან სხვაგვარი რეგულირების დადგენა დასაშვებია როგორც კანონით, ისე მხარეთა სეთანხმებით. მეორე მხრივ, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურთან ერთად მორალური ზიანის ანაზღაურებასაც, ბათილი იქნება, თუ შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირება არ არსებობს (413).

ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი იმპერატიული ნორმები ადგენენ ანაზღაურების, როგორც სამართლებრივი ბერკეტის გამოყენების ზოგად ფარგლებს, დისპოზიციური ნორმები ასრულებენ გარკვეული გზამკვლევის ფუნქციას და სთავაზობენ მხარეებს სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო გზებს.

ევროპის კონტინენტის სამართლებრივი ტრადიცია დიდი კოდიფიკაციების პერიოდიდან სამოქალაქო კოდექსში ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მომწესრიგებელ ზოგად ნორმებს, მიუხედავად ამ ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებისა. ეს ნორმები თანაბრად გამოიყენება როგორც სახელშეკრულებო, ასევე არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანის მიმართ.

ქართული სამოქალაქო კოდექსიც არ ღალატობს ამ ტრადიციას. ზიანის ანაზღაურებასა და ზიანის სახეებს ცალკე თავს უძღვნის ვალდებულებითი სამართლის წიგნი, რომელშიც ზიანის სამართლებრივი შინაარსის განმსაზღვრელი პრინციპებია მოცემული.

ქართული სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან შეიძლება გამოვიყვანოთ ზიანის ანაზღაურების შემდეგი კლასიფიკაცია - ფაქტობრივად მიყენებული (რეალური) ზიანი და მიუღებელი შემოსავალი.

411-ე მუხლი: ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.²¹

ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზღვრავს ბრალის ფორმებს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. არც ძველად მოქმედი და არც დღეს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ბრალის თითოეული ფორმის შინაარსს. ამ შემთხვევაში, შესაძლებლობა გვეძლევა ვისარგებლოთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული განსაზღვრებით:

- განზრახია ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.
- ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.
- ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას (სსკ-ის მე-9 მუხლი).

²¹ ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია - სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2014წ. გვ 646.

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სამოქალაქო კოდექსი არც გაუფრთხილებლობის დეფინიციას იძლევა. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა უხეშ და მარტივ (უბრალო) გაუფრთხილებლობად. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. მარტივი გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით.

განზრახ ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას. კანონი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებსაც.

სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს მისთვის დამახასიათებელი ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმციის პრინციპი. ზიანის მიმყენებელი მიიჩნევა ბრალეულად, თუ არ დაამტკიცებს მისი ბრალის არარსებობის ფაქტს. ამის შესაბამისადვე ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებელს შორის: დაზარალებული, მიმართავს რა სასამართლოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე მიზეზობრივი კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის და ბრალის არარსებობა.

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულმა ან ადმინისტრაციულმა გადაცდომამ, თუ მათ ვინმესათვის ზიანის მიყენება მოჰყვა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როცა ჩადენილია დანაშაული და მაშინაც, როცა ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. ამიტომ სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანა

ყოველთვის არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. თუ ზიანი მიყენებულია ისეთი ქმედებით, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაშინ შეიძლება ადგილი ექნეს სანქციათა კუმულაციას - დამნშავეს ერთდროულად დაეკისრება სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბრალის ფორმასა და ხარისხს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებულის ბრალმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოსობას და გაზრდას. მხედველობაში მიიღება დაზარალებულის განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხი შერეული ბრალის წესით უნდა გადაწყდეს.

დაზარალებულის განზრახვა, მიმართული ზიანის წარმოშობისაკენ გამორიცხავს ზიანის მიმყენებლის ვალდებულებას ანაზღაუროს ზიანი. უხეში გაუფრთხილებლობისას ზიანის ოდენობა უნდა შემცირდეს ან შეიძლება დაზარალებულს უარი ეთქვას ზიანის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე.

უხეში გაუფრთხილებლობის ცნება, მიუხედავად მისი არა მარტო დელიქტურ, არამედ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოყენებისა, სამოქალაქო კანონმდებლობაში გახსნილი არ არის. არ შეიძლება მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დადგენილი გაუფრთხილებლობის (თვითიმედოვნება ან დაუდევრობა) რომელიმე ფორმასთან გაიგივებაც. იურიდიულ ლიტერატურაში იყო და არის მცდელობები განისაზღვროს ზუსტი ნიშნები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ „უხეში გაუფრთხილებლობის“ ცნების შინაარსი.

ჩემი აზრით, შედარებით მისაღებია ის კრიტერიუმი, რომელიც გამოყენებულია რომის სამართალში: „გაუგებრობა იმისა, რაც ყველას ესმის“. ყველას ესმის, რომ არ შეიძლება ქუჩის გადაჭრა, როცა არსებობს მიწისქვეშა

გადასასვლელი და ა.შ. ამ მოთხოვნების დარღვევა, ცხადია, იქნება უხეში გაუფრთხილებლობა. ამასთან, ბუნებრივია, რომ დაზარალებულის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებლობისას გათვალისწინებული უნდა იქნას კონკრეტული გარემოებები. მაგალითად, უხეში გაუფრთხილებლობაა დაზარალებულის არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, რომელმაც ხელი შეუწყო ზიანის დადგომას ან მის გაზრდას.

არსებობს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ზიანი სრულად უნდა ანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებელი გარემოება (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნატურით. კერძოდ, განადგურებული ნივთის სანაცვლოდ დაზარალებულს უნდა გადაეცეს იმავე გვარისა და ხარისხის ნივთი, ან ზიანის მიმყენებლის მიერ აღდგენილ იქნას დაზარალებული ნივთი და ა.შ. თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, დაზარალებულს მიეცემა ფულადი ანაზღაურება.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ამას სამოქალაქო კოდექსი ზირითადად პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევას უკავშირებს. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს გადასაწყვეტია. მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. რა თქმა უნდა, ფულადი ანაზღაურება მორალური ზიანის ეკვივალენტი არ არის, მაგრამ ფულადი თანხის გადახდევინებას მორალურად დაზარალებულის სასარგებლოდ მაინც განსაზღვრული დაკმაყოფილების მნიშვნელობა აქვს.

ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს სავალდებულო პირობას დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის და გამოიხატება იმაში, რომ: ა) პირველი უსწრებს მეორეს დროში; ბ) პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო პირდაპირი (და არა ირიბი) და გარდაუვალი (არა შემთხვევითი) შედეგი ზიანის მიმყენებლის მოქმედებისა (უმოქმედობისა).²²

განვიხილავ ჰოლანდიის სამართლის სისტემას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ჰოლანდიასა და, ალბათ, საქართველოშიც პიროვნებას ეკისრება მოვალეობა, ყველა გარემოების გათვალისწინებით, კეთილსინდისიერად დაეხმაროს საფრთხეში აღმოჩენილ პირს. მაგალითად, თუ მანქანა დაეჯახა ფეხით მოსიარულეს და მძღოლი გაიქცევა შემთხვევის ადგილიდან, ახლომახლო გამვლელი პიროვნება, რომელიც დაინახავს, რომ ტროტუარზე მწოლიარე პირი სისხლისაგან იცლება, კანონის თანახმად, მოვალეა, დაეხმაროს დაზარალებულს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში და, სულ მცირე, გააფრთხილოს პოლიცია და დაუძახოს სასწრაფო დახმარებას. მასუფლება არ აქვს, უბრალოდ, გვერდზე ჩაუაროს მგზავრს და ისე მოიქცეს, თითქოს არაფერი დაუნახავს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, ნიდერლანდებში კანონმდებელმა დაწვრილებით განმარტა უკანონო ქმედების ცნება, თუმცა, საკმაოდ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც აღნიშნა, რომ ძირითადად მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა წარმოადგენს უკანონო ქმედებას. ჰსკ-ის 6:162 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „იმ შემთხვევის გარდა, როცა არსებობს მტკიცების საფუძველი,

უკანონოდ შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი ქმედება: უფლების შელახვა და ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს კანონით დაკისრებულ მოვალეობას ან დადგენილი სოციალური ქცევის შესაბამის დაწერილ წესებს“.

²² ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე - ვალდებულებებითი სამართალი კერძო ნაწილი, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001წ. გვ 386

როგორც აღინიშნა, იმისათვის, რომ დადგეს კანონდამრღვევის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელია, მისი მოქმედება გაუფრთხილებლობით იყოს განპირობებული. პირს, რომელიც შემთხვევით მიაყენებს ვნებას სხვა პირს, არ შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუ ასეთი ქმედების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, რომელთა წევრებიც თავიანთი ბუნებით სრულყოფილებამე შორს არიან და ბევრ შეცდომას სჩადიან, შეუძლებელი იქნებოდა, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მიდგომა არ იქნებოდა. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული წესის უკან გარკვეული არგუმენტაციაა, რომლის მიღმაც სხვა სამართლებრივი წესი იგულისხმება, კერძოდ ის, საზოგადოების ყველა წევრმა თვითონ უნდა ატაროს თავისი ზიანი. ეს წესი და პრინციპი ჯერ კიდევ რომაულ სამართალში არსებობდა.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირის ქმედება კანონსაწინააღმდეგოა და, ამავე დროს გაუფრთხილებლობით განპირობებული, რითაც მესამე პირს მიადგა ზიანი, აუცილებელი არ არის, დადგეს პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ცალკე წინაპირობაა, რომ ქმედება მას მიეწერებოდეს. მიუხედავად ამ წინაპირობის არსებობისა, ჰსს-ის 6:162 მუხლის I ნაწილისაგან განსხვავებით, სსკ-ის 992-ე მუხლში მას არ ვხვდებით, თუმცა, ის მაინც დელიქტური ვალდებულების შესახებ საქართველოს ზოგადი წესის ნაწილს წარმოადგენს. ეს შეგვიძლია ვნახოთ სსკ-ის 993-ე - 996-ე მუხლების მაგალითზე, რომლის თანახმად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი, ჭკუასუსტი ან სულით ავადმყოფი ან დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის. მსგავსი დებულება ნიდერლანდებშიც მოქმედებს, თუმცა, მიდგომა განსხვავებულია. ჰოლანდიური სამართლის მიხედვით, დაუშვებელია, დადგეს თოთხმეტი წლის ასაკს ქვემოთ ბავშვის პასუხისმგებლობის საკითხი (მუხლი 6:164). რაც შეეხება თოთხმეტი წლის ზემოთ პირის ჭკუასუსტობას ან ინვალიდობას,

ჰოლანდიური სამოქალაქო კოდექსი, ამ შემთხვევაში, სამოქალაქო პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს.

როგორც ქართულ, ისე ჰოლანდიურ სამართალში არსებობს დელიქტური ვალდებულების კონკრეტული წესები, რომლის საერთო დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ პირი პასუხისმგებელია დელიქტური ვალდებულებისთვის მაშინაც, თუ ქმედება, გულგრილობით არ იყო განპირობებული, ან ის საერთოდ არ მოქმედებდა. ეს ის მაგალითებია, რომელსაც ინგლისში „მკაცრ პასუხისმგებლობას“ უწოდებენ. ამდენად, მოსარჩელეს არ სჭირდება ამტკიცოს, რომ მოპასუხე გულგრილობით მოქმედებდა. ამ საკითხთან დაკავშირებული წესები ეხება კონკრეტულ შემთხვევებს, რომელშიც, მართალია, მიღებულია დელიქტური ვალდებულების შესახებ ზოგადი ცნებიდან ამოსვლა, რადგანაც ზიანის გამომწვევი მოქმედება კონკრეტული საფრთხის მატარებელია, ან რადგანაც არსებობს ურთიერთობა დელიკვენტსა და პასუხისგებაში მიცემულ პირს შორის, რომელიც ამტკიცებს, რომ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი მესამე პირისათვის არ იყო გამიზნული.²³

„ძალსაც კი შეუძლია განასხვავოს, შემთხვევით შეეხნენ, თუ განზრახ დაარტყეს“. - მოსამართლე ოლივერ ველდელ ჰოლმსი, 1881 წელი.

ციტატა მიანიშნებს, რომ მიყენებული ზიანის სიმძიმის ხარისხის შეფასება ცხოველებსაც კი შეუძლიათ. მათაც აქვთ თავიანთი დამოკიდებულება ზიანის მიმყენებლისადმი. შეიძლება ითქვას, ზიანის სანაცვლოდ შემხვედრი დაკმაყოფილების მიღება ისეთი ლოგიკური და ბუნებრივი პრინციპია, როგორც, მაგალითად, სიკეთის სიკეთითვე გადახდის ზნეობრივი ვალდებულება.²⁴

²³ თოდუა მ., ვილემსი ჰ. - ვალდებულებითი სამართალი - ქართული და ჰოლანდიური ვალდებულებითი სამართლის შედარებითი ანალიზი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006წ.

²⁴ ძლიერიშვილი ზ., გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია - სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014წ. გვ 677.

წინა თავშიც აღვნიშნე, რომ თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ საერთოდ არ არსებობს დელიქტური ვალდებულება, რადგან ზიანი მიყენებული უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება (მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედების შედეგად ზიანი არ ანაზღაურდება, რადგან ასეთი ქმედება ითვლება მართლზომიერად). სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გამონაკლისს, როცა ზიანის ანაზღაურების საკითხი შეიძლება დადგეს მართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანის არსებობის დროსაც - კერძოდ, უკიდურესი აუცილებლობით (იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა სშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია) გამოწვეული ზიანის დროს. სისხლის სამართლის კანონისაგან განსხვავებით, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედებისათვის, სამოქალაქო კანონი, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურებას აკისრებს იმას, ვინც მოქმედებდა უკიდურესად აუცილებლობის მდგომარეობაში. საკიტხის ასეთნაირად გადაწყვეტისას კანონი ითვალისწინებს იმას, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს ინტერესების დაცვა, რომელსაც საფრთხე ემუქრება, მიიღწევა იმ პირის ინტერესების შელახვის ხარჯზე, რომელსაც არ შეუქმნია საფრთხე. ამითომ, არ იქნებოდა სამართლიანი ასეთი პირისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წართმევა. ზოგჯერ პირი ზიანის მიყენებისას მოქმედებს არა თავის, არამედ სხვის ინტერესებში. ამიტომ, კანონით დადგენილია, რომ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყი ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ

განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან, როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც.²⁵

§2. მორალური ზიანის ანაზღაურების განსხვავებული სისტემები

არაქონებრივ ზიანსა და მისი ანაზღაურების სავალდებულობას ყველა ცივილიზებული მართლწესრიგი ითვალისწინებს, თუმცა ძირითადი განსხვავება მათ შორის ანაზღაურების მასშტაბებსა და ფარგლებშია. ევროპის კონტინენტზე გამოყოფენ ორ ძირითად მოდელს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულ კონცეფციებს ეყრდნობიან. ფრანგული სისტემა ეყრდნობა ნაპოლეონის კოდექსის უზოგადეს ფორმულირებას ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და არ ავლებს მკვეთრ ზღვარს ზიანის სახეებსა და მათი ანაზღაურების ფარგლებს შორის.

ფრანგულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ცოლის სარჩელი, რომელიც ითხოვდა ქმრისგან მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მიატოვა და სხვა ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. სასამართლომ მოპასუხეს დააკისრა ერთჯერადად გადასახდელი თანხის სახით მოსარჩელისათვის 5500 ევროს ანაზღაურება.

გერმანული სისტემა გულისხმობს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემოფარგვლას მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებით. ქართული სამოქალაქო კოდექსი, როგორც გერმანული სამართლებრივი სტილის მიმდევარი, სწორედ ამ უკანასკნელ სისტემას განამტკიცებს. თუ ზემოთ მოყვანილ ფრანგულ გადაწყვეტილებას „ვიწრო“ გერმანული (ქართული) მიდგომით განვიხილავთ, განქორწინება არ შეიძლება იყოს მორალური ზიანის მომტანი, რადგან ის მართლსაწინააღმდეგო არ არის და დაშვებულია კანონით. შესაბამისად, ქმედებას, რომელიც კანონით დაშვებულია, მოპასუხისათვის ზიანის (მატერიალური იქნება თუ არამატერიალური) ანაზღაურება არ შეიძლება მოჰყვეს. ფრანგულმა

²⁵ ჭანტურია ლ. - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2001წ. გვ. 382.

სასამართლომ ამ შემთხვევაში საერთოდ არ განასხვავა ერთმანეთისაგან მორალური და მატერიალური ზიანი და ზოგადად ანაზღაურების მოთხოვნა დააკმაყოფილა. მოსარჩელისათვის, მოპასუხისა საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა, თუ ამ თანხიდან რამდენი მიიღო მოგებულმა მხარემ მორალური, ხოლო რამდენი - მატერიალური ზიანის სანაცვლოდ.

არაქონებრივი ზიანის მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაკისრება თანამედროვე პირობებში სერიოზული და ინტენსიური კრიტიკის საგნად იქცა, რადგან კანონი ხშირად ვერ პასუხობს სწრაფად განვითარებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოთხოვნებს. გერმანული სასამართლოები იძულებულნი არიან არსებული ნორმების ფართო განმარტების საფუძველზე მაქსიმალურად ადეკვატური პასუხი გასცენ ახალ შეკითხვებს, რასაც მათ ყოველდღიური ცხოვრება სთავაზობს.

მორალური ზიანის ანაზღაურებით დაცული არამატერიალური სიკეთე ადამიანის საყოველთაო უფლებებისა და თავისუფლების ნაწილია. საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ განამტკიცებს პიროვნებისა და მისი პირადი ცხოვრების, ასევე ამ ცხოვრების ამსახველი ნებისმიერი მონაცემის ხელშეუხებლობას. მეორე მხრივ, სიტყვის თავისუფლებასთან კოლიზიის თავიდან ასაცილებლად იგივე კონსტიტუცია უშვებს ამ ფუნდამენტური უფლების კანონის საფუძველზე შეზღუდვის შესაძლებლობას, თუ ეს აუცილებელია „სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად“.

მორალური ზიანის ანაზღაურების კერძო შემთხვევას ითვალისწინებს 413-ე მუხლი. ეს ნორმა ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს პირს, ვის ჯანმრთელობასაც ზიანი მიაღება მოვალის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად.

სამოქალაქო კოდექსი არ არის ერთადერთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მორალური ზიანის ანაზღაურების კერძო შემთხვევებს არეგულირებს. მაგალითად,

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „პირებს, რომელთა უფლებები და ინტერესები დარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად, უფლება აქვთ დადგენილი წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონებისათვის, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანის კონპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო ფრეკლამის საჯაროდ უაროფა“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს დაზარალებულის უფლებაზე, მოითხოვოს იმ მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც დანაშაულის შედეგად მიადგა, თუმცა თვით დაზარალებულის ლეგალური დეფინიციიდან მსგავსი დასკვნის გამოტანა შესაძლებელია (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი სანქცია, გათვალისწინებულია არაქონებრივი და არამატერიალური ზიანის მიყენებისათვის. ამ დროს ზიანი, მისი კლასიკური მნიშვნელობით, მატერიალურად არ ვლინდება, რის გამოც საკმაოდ რთულია მისი ქონებრივი ეკვივალენტით გამოსახვა. მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პიროვნებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ისეთი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის, რამაც ზიანის დადგომა გამოიწვია.²⁶

§3. დელიქტუნარიანობა

პასუხისმგებლობა სკ 992 მუხლის მიხედვით გამორიცხულია, თუ პირი სკ 994, 995, 996 მუხლების მიხედვით, პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისთვის.²⁷

²⁶ ძლიერისვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე ი., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. - სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014წ. გვ 664

²⁷ მარიამიძე გ. - დელიქტური ვალდებულებანი, ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (სკ) 992-ე მუხლის მიხედვით და ადამიანის უფლებათა ევროპული

ქართული სამოქალაქო კოდექსი საგანგებოდ აწესრიგებს დელიქტუარიაზობას, ანუ პირის უნარს, საკუთარი ქონებით აგოს პასუხი მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. ათ წლამდე პირის პასუხისმგებლობა ნებისმიერ შემთხვევაში გამორიცხულია. შესაბამისად დელიქტური პასუხისმგებლობის უმთავრესი წინაპირობაა ზიანის მიმყენებელი პირის ასაკობრივი ცენზი.

სამართალს არ შეუძლია დაუშვას ვაკუუმი ურთიერთობების რეგულირებაში. შესაბამისად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ მიყენებული ზიანიც აუნაზღაურებელი არ უნდა დარჩეს. კანონი ამ ვალდებულების შესრულების სუბიექტად ასახელებს მცირეწლოვანის მშობლებს; ან მის მეურვეობასა თუ მზრუნველობაზე პასუხისმგებელ პირებს. ცხადია, მათი პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მაშინ დადგება, თუ დამტკიცდება, რომ სათანადო გულისხმიერებისა და ყურადღების გამოჩენით მათ ზიანის თავიდან აცილება შეეძლოთ. თუ ზიანი მაინც დადგებოდა და მისი თავიდან აცილება ზემოაღნიშნულ პირებს არ შეეძლოთ, მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება ბრალის არარსებობის გამო.

ათ წელს გადაცილებული ზიანის მიმყენებელი პასუხს მხოლოდ მაშინ აგებს, თუ მას საკუთარი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი შეგნებული ჰქონდა, ან უნდა ჰქონოდა. მაგალითად, თუ თერთმეტი წლის ბიჭი დაზადების დღეზე საჩუქრად მიღებული სამოყვარულო კამერით გადაიღებს მტვრალ მდგომარეობაში მყოფ მამასა და მის მეგობარს (ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის დირექტორს), რაც ვიდეოს ინტერნეტში განთავსების შემდეგ კომპანიის აქციონერების ნდობის დაკარგვასა და აქციების ფასის ვარდნას გამოიწვევს, იუბილარი კომპანიისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს არ აგებს. როგორც წესი, შეუძლებელია თერთმეტი წლის ბავშვმა იცოდეს, როგორი მგრძნობიარე

სასამართლოს გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, სახელმძღვანელო კონსპექტი სტუდენტებისთვის, I გამოცემა, ა.ი.პ. მოქალაქეთა დაცვის ინსტიტუტის (მოდ) თანადგომით, თბილისი 2011წ. გვ 17

შეიძლება იყოს საფონდო ბირჟა დირექტორების პირადი ცხოვრების მიმართ. შესაბამისად, შეუძლებელია ბიჭს მოვთხოვოთ კომპანიისათვის მიღებული ზარალის ანაზღაურება, ვინაიდან მისი ბრალი ამ ურთიერთობაში არ იკვეთება. მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ საკუთარი დაბადების დღის ამსახველი კადრების სოციალურ ქსელებში გავრცელებით ზიანს მიაყენებდა კომპანიას.. იგივე ბიჭი პასუხს აგებს მეზობლისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუ ამ უკანასკნელის ბაღში დარგულ ძვირფასი ჯიშის ხეებს თავისი პატარა ცულით დაჩეხავს, რაც ხეების გახმობას გამოიწვევს. თუ მისი პირადი ქონება ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდება, პასუხს აგებენ ასევე კანონიერი წარმომადგენლებიც (მშობელი ან მზრუნველი).²⁸

ა) მხარდამჭერის მიმღების პასუხისმგებლობის საკითხი სკ 995 მუხლის მიხედვით

სკ-ის 995(1) მუხლის მიხედვით, „მხარდამჭერის მიმღების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხარდამჭერის მიმღებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარდამჭერი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად დაენიშნა“.

მოცემული მუხლის პირველი ნაწილიდან ჩანს, რომ მხარდამჭერის მიმღები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება იმ შემთხვევაში, თუ მას მხარდამჭერს დაუნიშნავს სასამართლო იმ ზიანის თავიდან ასაცილებლად, რისი გამოწვევაც მას შეეძლო. აღნიშნული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კი ეკისრება მხარდამჭერს, გარდა იმ შემთხვევისა თუ ამ ზიანის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. 995(2) სხვა შემთხვევაში, მხარდამჭერის მიმღები პასუხისმგებელია თავად აანაზღაუროს ზიანი. ასევე მხარდამჭერი გათავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ დაადასტურებს, რომ მხარდამჭერის მიმღებს ზიანის

²⁸ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., - სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014წ. გვ 70

მიყენების მომენტისათვის აღარ სჭირდებოდა მხარდამჭერი აღნიშნული ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ვფიქრობ, აღნიშნული მუხლი (2015 წლის 20 მარტის ცვლილების შედეგად) უფრო სრულყოფილია ვიდრე მანამდე იყო, ვინაიდან დაზარალებული მხარე ყველა შემთხვევაში დაკმაოფილდება და შეეძლება მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც მას მიაყენეს. ამის მოთხოვნა შეუზღია, როგორც მხარდამჭერის მიმჭებისაგან, ისე მხარდამჭერისაგან. გააჩნია აღნიშნულ შემთხვევას როგორ მოაწესრიგებს კანონი.

ბ) პასუხისმგებლობის გამორიცხვა სკ 996 მუხლის მიხედვით

სკ 996 მუხლის მიხედვით, დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი (მაგალითად, ეპილეფსიისას) პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისთვის. თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალების გამოყენებით, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალის გარეშე აღმოჩნდა ამ მდგომარეობაში.²⁹

კანონის მიერ სპეციალურად რეგულირებულ ერთ-ერთ საკითხს მიეკუთვნება დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ შემთხვევაში, ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობა არ ეკისრება ზიანის მიმყენებელს, რომელიც თუმცა ქმედუნარიანია, მაგრამ ზიანის მიყენების მომენტში იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეეძლო გაეგო თავისი ქმედების მნიშვნელობა და გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგი. იმის მიხედვით თუ რამ გამოიწვია პირის ასეთი მდგომარეობა, წყდება მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხი. თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური

²⁹ მარიამიძე გ. - დელიქტური ვალდებულებანი, ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (სკ) 992-ე მუხლის მიხედვით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, თბილისი 2011წ. გვ 18

სასმელის , ნარკოტიკული ნივთიერებების ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, იგი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის ზოგადი საფუძვლებით. ამდენად, პირის მიერ ზიანის მიყენება, როცა იგი იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ სეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა, არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

არც თუ ისე იშვიათად მოქალაქეებს არ სეუძლიათ უხელმძღვანელონ საკუთარ მოქმედებებს ფსიქიკური ავადმყოფობის გამო. აღნიშნული სახის მოქალაქეთა მიმართ არ დგება საკითხი მათი ქმედუწნაროდ აღიარების და მათთვის მეურვის დანიშვნის თაობაზე, რომელიც განახორციელებდა მეთვალყურეობას და იკისრებდა პასუხისმგებლობას ასეთი პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის. დაზარალებუთა ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანსეწონილი იქნებოდა ასეთი პირების მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი პირის მეუღლეს, მშობლებს ანდა სრულწლოვან შვილებს, რომლებმაც იცოდნენ პირის ფსიქიკური მოშლილობის შესახებ და არ დააყენეს საკითხი მისი ქმედუწნაროდ აღიარების თაობაზე.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა პირმა თვითონ ჩაიყენა თავი დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელების ან სხვა მსგავსი ნივთიერებების გამოყენებით, მაგრამ საკუთარი ბრალის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია (მაგალითად, თუ ასეთი მდგომარეობა გამოიწვია ექიმის მიერ დანიშნული წამლის მიღებამ და ა.შ.).³⁰

§4. დელიქტური ვალდებულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სხვა კატეგორიები.

³⁰ ჭანტურია ლ. - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, თბილისი 2001წ. გვ 398

განვიხილავ დელიქტური ვალდებულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ კიდევ რამოდენიმე კატეგორიას.

ა) ზიანის მომტანი ცნობების გახმაურების შედეგები (მუხლი 993)

საკომენტარო მუხლი ეხება ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელების ან გახმაურების შემთხვევებს. კერძოდ, თუ სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელებამ ან გახმაურებამ გამოიწვია ზიანი, პირი, პირი ვალდებულია ანაზღაუროს მისი ქმედების გამო დამდგარი ზიანი. ამასთან, სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გამხმაურებელი ან გამვრცელებელი უნდა მოქმედებდეს განზრახ ან გაუფრთხილებლად. გარდა ამისა, სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტები უნდა იყოს აშკარად არასწორი, რათა წარმოშობილი ზიანისთვის ზიანის მიმყენებელს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისროს.

გათვალისწინებულია ისეთი ვალდებულება, როცა გამონატყვამების გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა ისეთი გამონატყვამებისას, რომლებიც ეხება კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას.³¹

რაც შეეხება გერმანული სამართლის მიდგომას აღნიშნული საკითხისადმი. ისევე როგორც ქართული, გერმანული სამართალიც ანალოგიურად აწესრიგებს ამ მუხლს, განსხვავება მხოლოდ მუხლის ნომერსა და გადმოცემულ სიტყვებშია, ხოლო შინაარსი კი იგივე. გერმანული სამოქალაქო კოდექსში ამ ნორმას აწესრიგებს 824-ე მუხლით.

ბ) სამსახურობრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება (997 მუხლი)

³¹ ჭანტურია ლ. - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, ტომი II, თბილისი 2011წ. გვ. 391

კანონი ზიანი ანაზღაურებას აკისრებს პირს, რომლის მუშაკიც თავისი შრომითი (სამსახურობრივი) მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანს მიაყენებს მესამე პირს. მესამე პირია ნებისმიერი სხვა პირი. მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ეს პირი სამუშაოს მიმცემის მუშაკს თუ არა, რომელსაც მიაღვა ზიანი სამუშაოს მიმცემის მუშაკის გამო. პირი რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანი, შეიძლება იყოს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირი (სამუშაოს მიმღები).

რამდენადაც იურიდიული პირის საქმიანობა წარმოადგენს მისი წევრების საქმიანობას, მისი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ წევრის (მუშაკის) მოქმედებაში არის სამოქალაქო სამართალდარღვევის ყველა ელემენტი, რაც აუცილებელია დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის: მიზეზობრივი კავშირი, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

მუშაკის მიერ შრომითი (სამსახურობრივი) მოვალეობის სესტულებისას მესამე ოირისათვის ზიანის მიყენებისათვის სამუშაოს მიმცემი - ფიზიკური ან იურიდიული პირი პასუხს აგებს თავისი და არა სხვისი ბრალისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, მუშაკის მოქმედება შეფასებულ უნდა იქნას, როგორც თვით სამუშაოს მიმცემის მოქმედება. ამასთან, სამუშაოს მიმცემი პასუხს არ აგებს თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

ჯერ კიდევ 1949 წელს ს. ნ. ბრატუსმა წამოაყენა კონცეფცია იურიდიული პირის პასუხისმგებლობისა მისი მუშაკების ქმედების გამო, როგორც საკუთარი ქმედება და საკუთარი ბრალი. დავის წარმოსობის სემთხვევაში, მოპასუხედ მოცემულ შემთხვევაში, გამოვა პასუხისმგებელი პირი, ხოლო ზიანის უშუალო მიმყენებელი - მუშაკი ჩართული იქნება საქმეში, როგორც მესამე პირი.³²

³² ჭანტურია ლ. - სსკ-ის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ვალდებულებითი სამართალი კერძო ნაწილი, თბ, 2011, გვ.400-402

გერმანული სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულ ნორმას აწესრიგებს 831-ე მუხლის I-II ნაწილებით, რომელიც ქართული მუხლის იდენტურია.³³

გ) სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანიათვის (998-ე მუხლი)

ზიანი შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე ერთობლივად მოქმედი ორი ან რამდენიმე მოქმედების შედეგი. ზიანი, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია ერთობლივად მოქმედ ზიანის მიმყენებელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებთან, ითვლება ერთობლივად მიყენებულ ზიანად. არ არის სავალდებულო, რომ ზიანის მიმყენებლები მოქმედებდნენ ერთდროულად. ამასთან, არც ის არის სავალდებულო, რომ ზიანის მიმყენებლები მოქმედებდნენ შეთანხმების საფუძველზე და თითოეულმა მათგანმა იცოდეს სხვა პირის მოქმედების შესახებ.

თუ ზიანის მიყენებაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, მაშინ ისინი დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. პირთა მიერ ერთობლივად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სოლიდარული ხასიათი იმით აიხსნება, რომ მათ მიერ განხორციელებული ზიანის მომტანი ქმედებანი განუყოფელია. „ერთობლივად ზიანის მიყენებაში“ იგულისხმება ორი ან რამდენიმე პირის ქმედება, რომელსაც გააჩნია მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან.

ერთობლივად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა პირს, ვინც მონაწილეობდა ზიანის დადგომაში. დაზარალებულს შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ნებისმიერი ზიანის მიმყენებლისგან მთლიანად ან ნაწილობრივ. ზიანის მიმყენებელს, რომელმაც მთლიანად აუნაზღაურა დაზარალებულს ზიანი, გააჩნია რეგრესული მოთხოვნის უფლება დანარჩენი

³³ გსკ-ის 831-ე მუხლის I-II

ზიანის მიმყენებლის მიმართ, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებაში³⁴

დ)სატრანსპორტო ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (999)

ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მგზავრის გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახჩრებაან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება,, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. ხოლო ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისგან.

აღნიშნული მუხლი ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. კერძოდ, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით განმარტებულია, რომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული

³⁴ ჭანტურია ლ. - სსკ-ის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თბ.2011. გვ.403-404

ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამოწვეულია ტუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე. პასუხისმგებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა (სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ასევე დაზარალებულის ბრალი.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, როგორც მესაკუთრის ისე მფლობელისათვის სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების შემდგომ, მესაკუთრე უფლებამოსილია თუ არა რეგრესის წესით აინაზღაუროს ზიანი მფლობელისგან - ანუ უშუალო ზიანის მიმყენებლისგან. აღნიშნული საკითხი არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო დონეზე. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე არსებითი მნიშვნელობა გააჩნია დადგინდეს ზიანის გამომწვევი მიზეზი. თუკი ზიანი დამდგარია ნივთის თვისებით, რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება არ უნდა მოხდეს, თუმცა თუკი ზიანი გამოწვეულია მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციის წესების დარღვევით, მაშინ აღნიშნული წესი უნდა გავავრცელოთ.

გერმანიაში ავტოსატრანსპორტო საშუალების შედეგად მიყენებული ზიანის ურთიერთობებს აწესრიგებს საგზაო შემთხვევის შესახებ კანონი. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დებულებას შეიცავს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს აკისრებს პასუხისმგებლობას მისი ექსპლუატაციის შედეგად მიყენებულ ზიანზე. ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მფლობელის ცნებაში ყოველთვის მესაკუთრე არ იგულისხმება. მფლობელად ითვლება პირი, რომელიც საკუთარი ხარჯით იყენებს სატრანსპორტო საშუალებას და რომლის განკარგულებაშიცაა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება. თუკი პირი ავტოსატრანსპორტო საშუალებას იყენებს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე იგი ხდება მისი მფლობელი და შესაბამისად მას

ეკისრება ყველა ხარჯის ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული საშუალების ექსპლუატაციასთან და მოსალოდნელ ზიანთან.

რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1079-ე მუხლი განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ავტოსატრანსპორტო სასუალების ფლობის უფლებით გადაცემის დროს, დამდგარ ზიანზე პასუხისმგებელია მოიჯარე/დამქირავებელი და არა თავად მესაკუთრე. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე თანასაკუთრების არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია არა ყველა მესაკუთრე, არამედ უშუალოდ ის ვინც ახორციელებდა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას.

ამდენად, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარ ზიანზე ეკისრება მხოლოდ პირდაპირ მფლობელს. ხოლო რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დროს პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც პირდაპირ მფლობელს, ისე არაპირდაპირ მფლობელს (მესაკუთრეს).³⁵

ე) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. (1008-ე მუხლი)

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი. ამ ვადის დაწყებას კანონი უკავშირებს - მომენტს, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა იწყება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.³⁶

³⁵ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - აკადემიური მაცნე, თბ., 2015. გვ. 200

³⁶ ჭანტურია ლ. - სსკ-ის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2011. გვ. 429

რაც შეეხება გსკ-ს ამ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხი გსკ-ის 195-ე - 199-ე მუხლების I –III ნაწილებშია მოცემული. ნორმა ადგენს ხანდაზმულობის სტანდარტულ ვადას - სამი წელი. აღნიშნული ვადა მოქმედებს ყველა მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლებისათვისაც არ არის დადგენილი განსხვავებული - უფრო ხანგრძლივი ან მოკლე - ვადა. მიუხედავად მოთხოვნის უფლების საფუძვლებისა. § 195 სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებთან ერთად მოიცავს ასევე მოთხოვნის უფლებებს დელიქტიდან. ხანდაზმულობის სტანდარტული ვადის დენა მოწესრიგებულია § 199-ის პირველ ნაწილში, რომლის შესაბამისად,სავალდებულოა ის ფაქტი, რომ კრედიტორმა იცოდა, მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელი გარემოების შესახებ, ან არ იცოდა ამის შესახებ უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად .³⁷

³⁷ კროპკოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., 2014 გვ.95

IV თავი. სასამართლო პრაქტიკა

აღსანიშნავია საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არესებული შემდეგი საქმეები:

ნ. შ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა შპს „აკად. ო. ღ. სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის, 52 000 ლარის, ასევე მორალური ზიანის, 500 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: 1) ოპერაცია ჩაატარა არაკვალიფიცირებულმა ექიმმა. 2) მოსარჩელეს არ განემარტა ოპერაციული ჩარევის სავარაუდო შედეგების, თანმხლები გართულებებისა და რისკების, ასევე მკურნალობის ალტერნატიული საშუალებების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ ნ. შ-ს სარჩელი არ დააკმაყოფილა, რის შედეგადაც გაასაჩივრა სააპელაციოს წესით. სააპელაციომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, რის გამოც მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი.

საკასაციო შემდეგი საფუძვლებით: 1) ნ. შ-ს პუნქციის გაკეთებამდე ექიმმა აუხსნა, რომ სამედიცინო ჩარევა გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და ურჩია კიდევ დაფიქრებულიყო. თუმცა ნ. შ-მ მაინც გადაწყვიტა ოპერაცია, შესაბამისად სახეზე იყო პაციენტის ინფორმირებული თანხმობა. 2) სარჩელი

ხანდაზმულია, რადგან დელიქტური ვალდებულების ხანდაზმულობის ვადა 3 წელია. მოსარჩელემ 2008 წლის 2 ივნისისათვის უკვე იცოდა მისი ჯანმრთელობის დაზიანების თაობაზე, სარჩელი კი, 2011 წლის 14 დეკემბერს აღძრა.

მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს რომ ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვის. იმავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, ისევე როგორც, ზოგადად, დელიქტური პასუხისმგებლობისათვის, აუცილობელია მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ზიანის, მათ შორის მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის ერთობლიობა. მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, ამ შემთხვევაში, მიიჩნევა ექიმის შეცდომა, მის მიერ არჩეული არასწორი მკურნალობის კურსი, ან არასათანადოდ ჩატარებული ქირურგიული ჩარევა და ა.შ, რომელმაც პაციენტის ჯანმრთელობა დააზიანა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეიტყო. შესაბამისად მოსარჩელის სარჩელი ხანდაზმულია, რის გამოც საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღო ახალი გადაწყვეტილება, კასატორის სარჩელის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე.

ვფიქრობ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მართალია იკვეთებოდა მოპასუხის ბრალეულობის საკითხი, თუმცა მოთხოვნა ხანდაზმული იყო, რასაც ვერსად გავექცევით.

აღნიშნული ნორმა იმპერატიულია, რომლისგან გადახვევაც კანონით აკრძალულია. შესაბამისად, მოსარჩელეს სარჩელის აღძვრა 2011 წლის 10 ივნისამდე შეეძლო, თუმცა მან ეს ვადა გაუშვა, შესაბამისად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც დაკარგა.³⁸

მოსარჩელე შ. შ-მემ გაზეთი „კ-ისა“ და გაზეთ „კ-ის“ ჟურნალისტ მ. ც-ს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მორალური ზიანის სახით 70 000 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით: 1) სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად მოსარჩელე ცნეს ბრალეულად და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. განაჩენი საკასაციო სასამართლომაც უცვლელად დატოვა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტმა მ. ც-მ გამოაქვეყნა სტატია სათაურით - „გაუპატიურების მცდელობა განსაკუთრებული სისასტიკით“. მისი მტკიცებით ჟურნალისტმა უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო და სისხლის სამართლის მუხლები. საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რის შედეგაც გაასაჩივრა სააპელაციოს წესით. სააპელაციომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ამიტომ მოპასუხეებმა გაასაჩივრეს საკასაციო სასამართლოში, თუმცა საკასაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

მოცემულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა დელიქტის საფუძველზე, რაც გამოიხატა იმაში, რო ჟურნალისტმა ჟურნალში გამოაქვეყნა შ. შ-მის მხრიდან გაუპატიურების ფაქტი, რომელიც შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ასახავს შ. შ-თვის პირადი ცხოვრების საჩოთირო და უსიამოვნო ეპიზოდს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებით ზიანი მიაღდა მისი პირადი ცხოვრების უფლებას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო

³⁸ № ას-247-237-2013

სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტის დროს სწორად გამოიყენა სკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი, ამავე კოდექსის 992-ე მუხლი და სწორად მიიჩნია, რომ პუბლიკაციის ღირებულება ტექსტით გამოქვეყნებამ ზიანი მიაყენა დაზარალებულის კანონით დაცულ ინტერესებს. რაც შეეხება მორალური ზიანის ასანაზღაურებელ თანხას . კასატორის მოსაზრება თანხის ოდენობასთან დაკავშირებით მარტოოდენ იმის მითითებით, რომ გაზეთი სოლიდარული ქონების მესაკუთრეა და ამიტომ 70 000 ლარი იქნებოდა გონივრული ოდენობა საფუძველს მოკლებულია. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ბრალის ხარისხის, ასევე დაზარალებულისათვის მიყენებული სულიერი ტკივილის გათვალისწინებით მოპასუხეებს სოლიდარულად დააკისრეს 5000 ლარის გადახდა.

ჩემი აზრით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო. კანონმდებელი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს ადამიანთა კატეგორიებს. მისთვის არ აქვს მნიშვნელობა პიროვნება დამნაშავეა თუ უდანაშაულო. მსჯავრდებულსაც აქვს უფლებები, მიუხედავად მისი ბრალეული ქმედებებისა. აღნიშნულ შემთხვევაში, ჟურნალისტებმა, მართლაც რომ არაკანონიერად დაარღვიეს, მისი, როგორც კონსტიტუციით, ისე სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები. უძენაესე სასამართლო სწორად მოიქცა, როდესაც მორალური ზიანი, 70 000 ლარიდან შეამცირა 5000 ლარამდე. მართალია, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს მნიშვნელობა აქვს დამნაშავეს ქონებრივ მდგომარეობასაც, მაგრამ არა გადამწყვეტი. შესაბამისად 70 00-ლარი სულაც არ არის გონივრული თანხა და 5000 ლარი სრულებით საკმარისია აღნიშნული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.³⁹

³⁹ № ას-593-1241-03

დასკვნა

დელიქტს სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. წინამდებარე ნაშრომში ჩანს, რომ ქართული კერძო სამართალი დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ საკითხს, თუმცა ვფიქრობ, გარკვეული ცვლილებების განხორციელება მაინც საჭიროა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის პრობლემები, რომელიც დღესაც მოსაგვარებელია.

ნაშრომში წარმოებული კვლევის შედეგად გამოვლინდა დელიქტურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ისეთი სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას საჭიროებს.

ჯერ კიდევ რომის სამოქალაქო სამართლიდან მოყოლებული ყოველთვის იპყრობდა იურისტთა ყურადღებას სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისა და დელიქტური (არასახელშეკრულებო) პასუხისმგებლობის ურთიერთობის პრობლემა. სსკ-ს აქვს მცდელობა, რომ გამოირიცხოს სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელის კონკურენცია და პირდაპირ მიუთითებს იმ ურთიერთობებზე, რომლის მიმართაც დელიქტური პასუხისმგებლობის წესები უნდა იქნეს გამოყენებული. ამ დროს სარჩელთა კონკურენციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუმცა პრაქტიკაში ეს ყველაფერი საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. როდესაც სამედიცინო დაწესებულების მხრიდან მოხდება პაციენტის მიმართ ზიანის მიყენება ამ შემთხვევაში შესაძლებელია, წარმოიშვას კონკურენციის პრობლემა, ვინაიდან ერთი მხრივ სახეზე გვაქვს სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა და მეორე მხრივ დელიქტური სამართლის თავში არსებული ნორმა, რომელიც სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ზიანის ანაზღაურებას ეხება. სანამ არ მოხდება ამ პრობლემის გადაწყვეტა, სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლის კონკურენციისას, მოსარჩელემ იმ ნორმაზე დაყრნობით უნდა აღძრას სარჩელი, რომელიც მას უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს და რომლითაც უფრო

ადვილად შეძლებს თავისი ინტერესის დაკმაყოფილებას. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის პრობლემა, აუცილებელია, რომ ცვლილება შევიდეს სსკ-ის 1007-ე მუხლში. კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს, რო სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის სამედიცინო დაწესებულება პასუხს აგებს საერთო საფუძვლით მიუხედავად, იმისა იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება გამორიცხავს სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციას და დაგვეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში.

ასევე რეკომენდირებულია განისაზღვროს, სსკ-ის 992-ე მუხლში მოცემული განზრახვის და გაუფრთხილებლობის ცნებები (რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ „განზრახვა არის უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნა და სურვილი“⁴⁰, ხოლო რაც შეეხება გაუფრთხილებლობას, სასურველია, კანონმდებელმა იხელმძღვანელოს გსკ-ში მოცემული განმარტებით, რომლის თანახმად, „გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულებას“⁴¹), გაიმიჯნოს უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობის ცნებები (თითოეული ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე. დადგინდეს ზოგადი კრიტერიუმები, რომლითაც უფლებამოსილ სუბიექტს საშუალება მიეცემა, სამართლებრივად შეაფასოს სუბიექტის ქცევა, როგორც უხეში ან მსუბუქი გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედება). ამასთან, ცნებები უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ გამარტივდეს არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის და უხეში გაუფრთხილებლობის გამიჯვნა (მხედველობაშია მისაღები, რომ უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებელი წინდახედულობის ნორმის მძიმე დარღვევას გულისხმობს, ხოლო მსუბუქი გაუფრთხილებლობა

⁴⁰ კროპჰოლერი. ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბ. 2014

⁴¹ გსკ-ის 276-ე მუხლის II ნაწილი

სახეზეა, როდესაც „პირი არღვევს სამოქალაქო ურთიერთობისათვის დამახასიათებელ აუცილებელ წინდახედულობის ნორმებს“⁴² მსუბუქი ფორმით.

⁴² ციპელიუსი. რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ, 2009, გვ.14-15

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 1997, №31 (2017 წლის რედაქცია).
2. ხარაზი ი., კვინიკაძე ქ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი 2016წ.
3. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი 2014წ.
4. ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, თბილისი 2011წ.
5. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, 2006წ.
6. ლუთინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი, Giz BMZ, თბილისი 2011წ.
www.gtz.de/law-caucasus.
7. კროპკოლერი ი., გერმანული სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი 2014წ.
8. მარიამიძე გ., დელიქტური ვალდებულებანი, ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სკ) 992-ე მუხლის მიხედვით, თბილისი 2011წ.
9. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, თბილისი 2015წ.
10. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბილისი 2009წ.
11. დუნდუა მ., სტატია დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფო პასუხისმგებლობის თანაფარდობაზე, სამართლის ჟურნალი №1, 2009 წ.
12. ბათლაძე გ. სტატია ბრალეული ქმედებითგამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში.
13. BLH – BUSINESS & LEGAL HUB, დელიქტური სამართალი, ზიანის ანაზღაურება, 2014 წ.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას- 593-1241-03
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე № ას- 247-237-2013